ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი **2012 წლის 4 აპრილი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. მესხორაძე გიორგი 5. გეგეჭკორი არნოლდი 6. ელიაშვილი მერაბი 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. ომანაძე რონალდი 9. ხაჩიძე მანანა 10. ჭლიკაძე გივი 11. კვერენჩხილაძე გიორგი 12. ბენდელიანი ბექა 13. პაპაშვილი თამარი 14. ჭალიძე ივერი 15. გალდავა გიორგი 16. ცინცაძე ნინო 17. მაცაბერიძე მალხაზი 18. შამილიშვილი მანანა 19. წერეთელი მარი 20. ჩოხელი ლევანი 21. ბრაჭული ირაკლი 22. გელოვანი ნანი 23. ლორია კახაბერი 24. პაიჭაძე თამარი 25. ახლოური ბექა 26. ზივზივაძე ვახტანგი 27. ჯღამაძე უჩა 28. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი) 2. დავითაშვილი ზურაბი 3. შენგელაია ალექსანდრე 4. ნადარაია ელიზბარი 5. კოპალეიშვილი მაია 6. სურგულაძე ნუგზარი 7. გველესიანი რევაზი 8. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილების დამტკიცება.

2. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2011 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა.

3. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

4. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილების დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილება და აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის დებულების პროექტში გათვალისწინებულია ყველა ის ხარვეზი, რაც ძველ დებულებას გააჩნდა, ასევე ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება. იქმნება ბიბლიოთეკის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემა გამართული სტრუქტურით, რაც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკის ეფექტურ ფუნქციონირებას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი გიორგი კვერენჩხილაძე დაინტერესდა წარმოდგენილი პროექტის მე–3 მუხლის მე–7 პუნქტის „ი“ ქვეპუნტის მიზანშეწონილობით, რომლის თანახმადაც, შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების კანდიდატურებს, მათ შორის: უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკების პერსონალს, ამ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით. ბატონმა გიორგი კვერენჩხილაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი მოწესრიგების პირობებში ფაკულტეტის ადმინისტრაცია სრულიად მოწყვეტილია ფაკულტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შერჩევის პროცესს, რაც გაუმართლებელია.

ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შერჩევის ამგვარი წესი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ჩამოყალიბებას და მის ეფექტურ ფუნქციონირებას. ამასთან, არ შეიქმნება რაიმე სახის პრობლემა სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შერჩევისას და ამ პროცესში, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება ფაკულტეტის ადმინისტრაციის პოზიციაც.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე ფაკულტეტის ბიბლიოთეკა განსაკუთრებით წარმატებულად საქმიანობს. მაგალითისთვის, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში უკვე წლებია ხორციელდება სტუდენტთა დასაქმების პროგრამა, რაც მისასალმებელია და მსგავსი ინიციატივები ყოველთვის წახალისდება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილება. (დანართი 3)

2. თსუ–ს ადმინსიტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმოადგინა 2011 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში და აღნიშნა, რომ დოკუმენტი საკმაოდ მოცულობითია და დეტალურ ინფორმაციას შეიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულების შესახებ. მასში მოცემულია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ ამომწურავი ცნობები, ცხრილებითა და დიაგრამებითაა წარმოდგენილი კონკრეტული მონაცემები.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი გიორგი კვერენჩხილაძე დაინტერესდა, თუ რატომ არაა ასახული სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის საქმიანობა ადმინისტრაციის საერთო ანგარიშში, რაზეც ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული და მისი საქმიანობის კოორდინაციას რექტორი და აკადემიური საბჭოც უზრუნველყოფენ. მომავალი წლის საქმიანობის ანგარიშში აუცილებლად იქნება ასახული ამ დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაც.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ დადებითად უნდა შეფასდეს ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა, რომლის შედეგაც გლობალური პრობლემები უნივერსიტეტში არაა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გაწეული საქმიანობისათვის და აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია ორიენტირებულია პრობლემების სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტაზე, რაც მისასალმებელია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2011 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად. (დანართი 4)

3. თსუ–ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა ნათელა ლაცაბიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების პროექტი და აღნიშნა, რომ დებულების პროექტში ასახულია უნივერსიტეტის ახალი წესდებით დადგენილი მოთხოვნები.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ წარმოდგენილმა პროექტმა გაიარა იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი ექსპერტიზა, იგი სრულად შეესაბამება უნივერისტეტის წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულება. (დანართი 5)

4. თსუ–ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოამდგენლობით საბჭოს გააცნო ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილება და განაცხადა, რომ ახალი დებულებით ინსტიტუტი გადავა თვითდაფინანსებაზე, უნივერსიტეტი აღარ მოახდენს მის ფინანსურ უზრუნველყოფას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ინსტიტუტმა დამოუკიდებლად უნდა იმუშავოს და მოიძიოს სამეცნიერო გრანტები. დებულება სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი გალდავამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი დებულება შინაარსობრივად სრულიად გაუმართავია, ინსტიტუტს არ გააჩნია სამეცნიერო საბჭო. იმ პირობებში, როდესაც პოლიმერული მასალები ერთ–ერთი ძალზედ მომგებიანი მიმართულებაა, აუცილებელია უფრო ქმედითი, ძლიერი სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის არსებობა, რასაც წარმოდგენილი დებულება ვერ უზრუნველყოფს.

სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა გიორგი ღვედაშვილმა აღნიშნა, რომ არსებობს ბევრი სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც უშუალოდ სამეცნიერო გრანტებისა და ფინანსების მოძიების მიზნით იქმნება, რათა შემდეგ უზრუნველყოს კვალიფიციური კვლევის განხორციელება. მისი განმარტებით, ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე იმსჯელა აკადემიურმა

საბჭომ, რომელიც თანახმაა ინსტიტუტი ამგვარი ფორმით არსებობდეს უნივერსიტეტის ფარგლებში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №19/2012 დადგენილება. (დანართი 6)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს

აპარატის უფროსი: დ. გეგენავა

დანართი 1

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2012 წლის 4 აპრილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა

- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი

- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2012 წლის 4 აპრილი

- კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- მანაგაძე ლავრენტი

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №3, დანართი 3.

დადგენილება №12/2012
22 თებერვალი, 2012

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება (დანართი №1).

2. დადგენილებით მიღებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

<u>დანართი №1</u>

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) ბიბლიოთეკა (შემდგომში – „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელშიც დაცულია ფონდებად ორგანიზებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ისტორიულ-კულტურული ხასიათის მქონე საბიბლიოთეკო დოკუმენტები.
2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, კანონის საფუძველზე, დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქმიანობის სფერო, ძირითადი მიზანი და ფუნქციები

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ასრულებს საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურულ-საინფორმაციო ფუნქციებს.
2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი მიზანია:
ა) საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება საუნივერსიტეტო სპეციალობების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და მკითხველთა მოთხოვნების მიხედვით.
ბ) საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა, აღრიცხვა, მეცნიერული დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.
გ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკითხველთა უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით;
დ) უნივერსიტეტის საინფორმაციო-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობა. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე, საცნობარო-საინფორმაციო აპარატის, კატალოგების, მონაცემთა ბაზების ორგანიზაცია და მართვა.
ე) პარტნიორ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობის ფორმების შემუშვება, დაგეგმვა და განხორციელება;
ვ) მკითხველთა თანასწორუფლებიანობის დაცვა;
ზ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა.
თ) უნივერსიტეტის სასწავლო, საინფორმაციო და სამეცნიერო მოთხოვნების საბიბლიოთეკო დოკუმენტებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და მის საფუძველზე ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ი) წიგნადი ფონდის პერიოდული შესწავლა, შემოწმება, მეორადი შერჩევის გზით ოპტიმიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
კ) უნივერსიტეტში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ფონდის ორგანიზება, დაცვა და ბიბლიოგრაფირება;
ლ) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შემუშავება და სამკითხველო დარბაზებში, აბონემენტის განყოფილებასა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკებში შესაბამისი დიფერენცირებული საბიბლიოთეკო წესებით მკითხველთა მომსახურება.
მ) წიგნსაცავის, სამკითხველო დარბაზების, აბონემენტის განყოფილებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკების ფონდების ცენტრალური სისტემით ორგანიზება.
ნ) საბიბლიოთეკო ფონდის დაცვაზე ბიბლიოთეკართა მატერიალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა დადგენილი წესის შესაბამისად.
ო) ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში აქტიური მონაწილეობა.

მუხლი 3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტრუქტურა და მართვა

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შედგება ადმინისტრაციისაგან, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკებისაგან, აბონემენტის განყოფილებისაგან, სამკითხველო დარბაზებისა და წიგნსაცავისაგან.
2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
ა) დაკომპლექტება-დამუშავების;
ბ) საინფორმაციო-ტექნოლოგიური;
გ) ინფორმაციული კვლევის;
დ) რესტავრაციის;
ე) ბიბლიოგრაფიის;
3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტრუტურული ერთეულებია:
ა) შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალურ სამკითხველო დარბაზი,
ბ) გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი,
გ) მარო მაყაშვილის სახელობის მცირე სამკითხველო დარბაზი,
დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,
ე) იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,
ვ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,
ზ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,
თ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,
ი) ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
კ) ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ლ) ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
მ) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკა
ნ) ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ო) ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
პ) თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ჟ) ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
რ) ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ს) კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ტ) მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
უ) მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ფ) პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ქ) შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ღ) პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
ყ) რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,
შ) ევროპული კვლევების ინტერსაფაკულტეტო ბიბლიოთეკა,
ჩ) ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა.
4. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობებია: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე, განყოფილების გამგე, სამკითხველო დარბაზის გამგე, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე, რესტავრატორი, ბიბლიოთეკარი და უფროსი სპეციალისტი.
5. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობების რაოდენობები და მათი სახელფასო განაკვეთები განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.
6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მართავს ხელმძღვანელი, რომელსაც რექტორის წარდგინებით ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
7. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:
ა) წარმართავს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
გ) წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
დ) ზედამხედველობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული დოკუმენტების პროექტების ვიზირებას;
ვ) წარადგენს ანგარიშს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს, უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ვ) შესაბამის თანამდებაზეზე დანიშვნის მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების კანდიდატურებს, მათ

შორის: უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკების პერსონალს, ამ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით;
ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
კ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილებათა და უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულთა ბიბლიოთეკების სამუშაო გეგმებს და პერიოდულად ისმენს ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
ლ) შუამდგომლობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
მ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
8. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ჰყავს მოადგილე, რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
9. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე:
ა) კურირებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილებების, სამკითხველო დრბაზებისა და წიგნსაცავის მუშაობას;
ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოვალეობას;
გ) ასრულებს, ამ დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმღვანელის მიერ მიღებულ ცალკეულ დავალებებს.
10. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების გამგე, რომელსაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
11.უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად, განსაზღრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
დ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
ე) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;
ვ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ზ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.
12. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) განყოფილებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე ან განყოფილების გამგის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი.
13. სამკითხველო დარბაზს ხელმძღვანელობს სამკითხველო დარბაზის გამგე, რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

14. სამკითხველო დარბაზის გამგის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) სამკითხველო დარბაზის გამგის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული სამკითხველო დარბაზის ერთ-ერთი თანამშრომელი.
15. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე, რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფროსის შეთანხმებული წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
16. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი თანამშრომელი.
17. წიგნსაცავს ხელმძღვანელობს წიგნსაცავის გამგე, რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
18. წიგნსაცავის გამგის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) წიგნსაცავს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე ან წიგნსაცავის გამგის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული წიგნსაცავის ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

1. დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილების ფუნქციებია:
ა) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოსული საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვა და რეგისტრაცია ჯამობრივ და ინვენტარის ჟურნალებში;
ბ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების ტექნიკურად დამუშავება;
გ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენა;
დ) საბიბლიოთეკო დოკუმენტის კლასიფიცირება;
ე) ელექტრონულ კატალოგში საბიბლიოთეკო დოკუმენტების მონაცემების შეყვანა.
2. საინფორმაციო-ტექნოლოგიური განყოფილების ფუნქციებია:
ა) არსებული ელექტრო-მექანიკური და ავტომატიზაციის მოწყობილობის, აგრეთვე პროგრამული საშუალებების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
ბ) ინოვაციური პროგრამული და ტექნიკური საშუალებების მოძიება და დანერგვა;
გ) არსებული ელექტრონული ბაზებისა და ელექტრონული კატალოგების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
დ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლოთეკო დოკუმენტების დიგიტალიზაცია და კანონმდებლობის დადგენილი წესით მკითხველთათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ე) ახალი ტექნიკისა თუ პროგრამების სატენდერო ტექნიკური დავალების მომზადება;
ვ) ბიბლიოთეკის ვებ-გვერდის განახლება;
3. ინფორმაციული კვლევის განყოფილების ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო კვლევებისა და აკადემიური პერსონალის მუშაობისთვის საჭირო ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მოძიება;
ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნებისა და პერიოდული გამოცემების სატენდერო ტექნიკური დავალების მომზადება;
გ) თანამედროვე ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკის ფონდების შევსების მიზნით;
დ) კატალოგის სრულფასოვნად შევსებასა და საბიბლიოთეკო წესების დაცვაზე მონიტორინგი;
ე) კოლექციებისა და ფონდების ანალიზი და მათი პოპულარიზაცია;
ვ) სხვა ბიბლიოთეკებთან და საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;
ზ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნების შესწავლა-ანალიზი.
4. რესტავრაციის განყოფილების ფუნქციაა:
ა) საბიბლიოთეკო დოკუმენტების დეზინფექციისა და კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოების ჩატარება;
ბ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვის მექანიზმზე ზრუნვა, აკინძვისა და რესტავრაციის ახალი მეთოდების დანერგვა.;
გ) პერიოდული გამოცემების აკინძვა-რესტავრაცია;
დ) რესტავრირებული დოკუმენტების მომზადება საგამოფენოდ.
5. ბიბლიოგრაფიის განყოფილების ფუნქციებია:
ა) პერიოდული გამოცემების აღწერა და სტატიების ანალიტიკური აღწერილობა;
ბ) უნივერსიტეტის ისტორიასა და უნივერსიტეტის პერსონალიებზე ბიბლიოგრაფიის შედგენა;
გ) მკითხველის მომსახურება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მასალებით.
6. აბონემენტის განყოფილების ფუნქციაა:
ა) მკითხველთა რეგისტრაცია და მომსახურება;
გ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემა;
დ) გაცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტების დროულად დაბრუნებაზე ზრუნვა.
7. წიგნსაცავის ფუნქციაა:
ა) საბიბლიოთეკო დოკუმენტების დადგენილი წესით განლაგება;
ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკითხველთა დროული მომსახურების ხელშეწყობა;
გ) დაბრუნებული წიგნების მიღება და საცავებში თაროებზე განლაგება;
დ) საცავებში სანიტარული წესრიგის უზრუნველყოფა.
8. სამკითხველო დარბაზის ფუნქციაა:
ა) სამკითხველო დარბაზის ფონდების განლაგება დადგენილი წესის მიხედვით;
ბ) მკითხველის კონსულტირება და მომსახურება ადგილზე;
9. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკების ფუნქციაა:
ა) შესაბამისი პროფილის ლიტერატურით ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტებაზე ზრუნვა.
ბ) მკითხველის კონსულტირება და ადგილზე მომსახურება.

მუხლი 5. საბიბლიოთეკო საბჭო

1. უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო პოლიტიკის სტრატეგიის დაგეგმვისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით ბიბლიოთეკაში იქმნება საბიბლიოთეკო საბჭო.

2. საბიბლიოთეკო საბჭოს მუშაობის რეგლამნეტი მტკიცდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.
3. საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.
4. საბიბლიოთეკო საბჭოს შემადგენლობას, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდების ხელმისაწვდომობა

1. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდები წარმოადგენს უნივერსიტეტის ქონების შემადგენელ ნაწილს.
2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული კატალოგები.
3. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა მოქალაქისა და უცხოელი სტუმრისთვის.
4. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებით სარგებლობა შეუძლიათ უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს.
5. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამუშაო საათები განისაზღვრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №3, დანართი 4.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2011 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, 2011 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის დეტალური ანგარიში წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, რაც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თითოეული მათგანის დატვირთვა, მნიშვნელობა და მათ მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მოცულობა. კერძოდ:

I. 2011 წლის განმავლობაში **სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის** ინიციატივით, თანამშრომლობითა და ხელშეწყობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

კონფერენციები:

- ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (3 მაისი)
- ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია (5 მაისი)
- საერთაშორისო კონფერენცია - „ფიზიკა დიდი ანდრონული კოლაიდერის ეპოქაში“ (17-21 ოქტომბერი)
- საერთაშორისო კონფერენცია - ”ფუნდამენტური მეცნიერებების წინსვლები, წარმატებები და პერსპექტივები კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში” (1-3 ნოემბერი)

საიუბილეო სხდომა/საჯარო ლექციები

- ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იონა მირცხულავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის ორგანიზება (3 თებერვალი)
- საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმის ფარგლებში მოწვეული იყვნენ უცხოურ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე თანამემამულეები, რომლებმაც ჩაატარეს საჯარო ლექცია/სემინარები სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის (ბ. კანკია, ზ. კოკაია)
- დეპარტამენტის ბაზაზე შესრულებული IREX-ის პროექტის ფარგლებში მოწვეული იყვნენ ესტონეთის სამეცნიერო ფონდის (Archimedes Foundation) წამყვანი სპეციალისტები, რომლებმაც თსუ დოქტორანტებისთვის ჩაატარეს საჯარო ლექცია/სემინარები (დოქ. მადის სალუვერი, დოქ. პრიიტ ტუვიკე)

კვალიფიკაციის ამაღლება
დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სამუშაო შეხვედრებში:

- 14–15 ნოემბერი, ქ. თბილისი - „STEP–ის ტექნოლოგიური მეწარმეობა". ორგანიზატორები: CRDF/SRNSF/GRDF *(ლ. კვინიკაძე, თ. გოგუა)*
- 5-6 დეკემბერი, ქ. კიევი, უკრაინა - „ტემპუსი და ერასმუს მუნდუსი - შესაძლებლობები აღმოსავლეთ პარტიორობისთვის". ორგანიზატორი: EACEA (The Education, Audiovisual and Culture Executive Agency) *(ლ. კვინიკაძე)*

შეხვედრები/კონსულტაციები

- პერმანენტულად წარმოებს სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების სამეცნიერო სამსახურებთან და აკადემიურ პერსონალთან (თვეში ორჯერ) მიმდინარე სამეცნიერო, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე
- პერიოდულად მიმდინარეობს საერთაშორისო ფონდების (GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობა, ინფორმაციის გავრცელება. საკონკურსოდ წარსადგენი საგრანტო პროექტების წინასწარი მონიტორინგი, აღრიცხვა და საჭიროებისამებრ, კონსულტაციების გაწევა

სხვა აქტივობა

- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მონაწილეობით 2011 წელს განხორციელდა არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნირების ინსტიტუტის და აკადემიის ბიბლიოთეკის თსუ-ში ინტეგრაცია
- შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისათვის მომზადდა ახალი დებულებების პროექტები
- ინსტიტუტების თანამშრომლებთან მიმდინარეობს პერმანენტული შეხვედრები ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაცნობის მიზნით
- დეპარტამენტის ხელშეწყობით გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი იულიხის კვლევათა ცენტრთან (დეკემბერი)
- პერმანენტულად მიმდინარეობს საერთაშორისო ფონდების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობის მიზნით
- დეპარტამენტის უშუალო ხელშეწყობით მოძიებულ იქნა ინფორმაცია არსებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც აქვეყნებენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების რეიტინგებს. მოხდა დაკავშირება THE-სთან (The Times Higher Education), რომელიც აღიარებულია მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებზე ყველაზე ავტორიტეტულ ინფორმაციის წყაროდ, რათა თსუ-ს ჩართვა მოხდეს აღნიშნულ სარეიტინგო სისტემაში
- მიმდინარეობს კონსულტაციები Thomson Reuters-ს შეძენასთან დაკავშირებით
- დეპარტამენტის მიერ ხორციელდება თსუ-ს დოქტორანტების სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო რეცენზირება
- მუდმივად მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტთა ბაზის შევსება
- დეპარტამენტის ბაზაზე დოქტორანტებისათვის მომზადებული საუნივერსიტეტო არჩევითი სალექციო კურსის "მეცნიერების მენეჯმენტის" ფარგლებში უკვე მე-4 სემესტრია მიმდინარეობს ლექცია\სემინარები

- 9 დეკემბერს ჩატარდა დეპარტამენტის ბაზაზე შექმნილი თსუ-ს სამეცნიერო პორტალის პრეზენტაცია. გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები პორტალის მოხმარების თაობაზე
- მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებულ საგრანტო კონკურსებში თსუ-დან წარდგენილი პროექტების სტატისტიკური ანალიზი და წარედგინა თსუ-ს პერსონალს
- დეპარტამენტის ინიციატივითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ გამოყენებითი კვლევების კონკურსში თსუ-დან წარდგენილი გრანტების თანადაფინანსება
- მომზადდა თსუ-ს 2011 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში და წარედგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას (31 იანვარი)
- პერიოდულად მიმდინარეობს უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი
- მუდმივად მიმდინარეობს დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება

II. აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

- 2011 წლის იანვრიდან აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ინიციატივით თსუ გახდა EUCEN–ის (საუნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ევროპული ასოციაცია) წევრი. თსუ ჯერჯერობით ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის წევრია.
- 2011 წლის თებერვლიდან თსუ გაწევრიანდა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციაში.
- 2011 წლის თებერვალში აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაციის პროექტ SIRUS–ის დასკვნით ეტაპში. პროექტის ფარგლებში შემუშავდა და თსუ–ში დაინერგა უწყვეტი განათლების პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურები. შემუშავდა ცენტრის მუშაობის მოკლევადიანი სტრატეგია.
- 2011წლის 8 აპრილს აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა თსუ წარადგინა IOM–ის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე.
- 2011 წლის 21 – 22 თებერვალს აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უმასპინძლა ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოს განვითარების მენეჯერის, დოქტორ მაიკი უდამის ორდღიან ტრენინგს თემაზე: „კურიკულუმის განვითარება“.
- 2011 წლის ივნისი – აკადემიური განვითარებისა და უწყეტი განათლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო TEMPUS–ის ეროვნული ოფისისა და DVV international საქართველოს მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების შესახებ (რეგიონალური). აღნიშნული საზაფხულო სკოლა საფუძვლად დაედო საგრანტო განაცხადის მომზადებას რეგიონში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების დანერგვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით (SSRULLI). საგრანტო განაცხადი წარდგენილია TEMPUS–ის საგრანტო კონკურსზე და აპლიკანტი ორგანიზაციაა თსუ (აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი).

- 2011 წლის ზაფხულის განმავლობაში აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრისა და IOM–ის (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) თანამშრომლობით თსუ–ის სტუდენტებს რამდენჯერმე ჩაუტარდათ ტრენინგი „სამუშაოს ძიება და თვითპრეზენტაციის უნარები“.
- 2011 წლის სექტემბერ–ოქტომბერში ცენტრმა სატრენინგო მომსახურების შესყიდვის შესახებ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება N 094–ის ფარგლებში მოამზადა ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების პროგრამა, აღნიშნული პროგრამის მიხედვით ენის სახლების ქართული ენის მასწავლებლების გადასამზადებელი ტრენინგი („ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სტრატეგიები და მეთოდები“, დამტკიცებულია თსუ რექტორის N110/01–01 ბრძანებით), ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების კურსის პროგრამა (დამტკიცებულია თსუ რექტორის N 113/01–01 ბრძანებით) და მასალები, რომლებიც გამოყენების უფლებით გადაეცა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას.
- 2011 წლის 25–26 ოქტომბერს აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უმასპინძლა ტალინის უნივერსიტეტის დელეგაციას. ტალინის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა თსუ–ის აკადემიური პერსონალისათვის ჩაატარეს სემინარები ელექტრონული სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით.
- 2011 წლის 20-21 ოქტომბერს თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის dvv international-ის საქართველოს ფილიალის და ზრდასრულთა განათლების ევროპული ასოციაციის ეგიდით თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში – "ზრდასრულთა განათლება და საზოგადოების ტრანსფორმაცია". ზრდასრულთა განათლებაში უნივერსიტეტების როლს კონფერენციის მეორე დღე დაეთმო.
- 2011 წლის 2 დეკემბერს აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა თსუ წარადგინა IOM–ის მიერ ორგამნიზებულ დასაქმების ფორუმზე.
- 2011 წლის დეკემბერში DVV international საქართველოსთან თანამშრომლობით თსუ–ში ჩატარდა ტრენინგი აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის თანამშრომლებისათვის და თსუ–ის აკადემიური პერსონალისათვის თემაზე: „ზრდასრულთა განათლების პრინციპები“.
- 2011 წლის 7 დეკემბერს აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა, ორი ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, მასწავლებლის სახლში საჯარო ლექცია ჩაატარა სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის ქართულ–ბერძნული ურთიერთობების შესახებ.

2011 წლის განმავლობაში დამტკიცდა უწყვეტი განათლების შემდეგი სასერტიფიკატო და ტრენინგ კურსები:

- SISCO- ს ქსელის სერტიფიცირებული სპეციალისტის კურსი (CCNA) – რექტორის ბრძანება N 88/01-01
- ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება – რექტორის ბრძანება N113/01–01
- კეთილდღეობის ფსიქოლოგია – რექტორის ბრძანება N112/01–01
- ხმის რეჟისურა – რექტორის ბრძანება N111/01–01

- ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სტრატეგიები და მეთოდები –რექტორის ბრძანება N110/01–01
- ორენოვანი ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობა უცხო ენების სწავლებისათვის – რექტორის ბრძანება N87/01–01
- საერთაშორისო ვაჭრობა - წერილი N 15914/02;
- სამგანზომილებიანი გრაფიკა – მოდელირებისა და რენდერინგის საფუძვლები (3D) - წერილი N10233/02;
- კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows–ის გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის - წერილი N 6745/02;
- კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows–ის გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი – N 6745/02;
- კომპიუტერული პროგრამის STATA–ს გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის – N 6745/02;
- კომპიუტერული პროგრამის STATA–ს გამოყენებით მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი – N 6745/02;
- წერისა და ზეპირი პრეზენტაციის უნარები – წერილი N 5744/02;
- ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკა – წერილი N 6744/02;

2011 წლის განმავლობაში განხორციელდა უწყვეტი განათლების შემდეგი კურსები:

	კურსის დასახელება	**კურსის დაწყების თარიღი**
1	ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკა	05.07.2011
2	წერისა და ზეპირი პრეზენტაციების უნარები	14.03.2011
3	წერისა და ზეპირი პრეზენტაციების უნარები	23.03.2011
4	წერისა და ზეპირი პრეზენტაციების უნარები	4.04.2011
5	კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი	24.05.2011
6	კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის	30.09.2011
7	სამგანზომილებიანი (3D) კომპიუტერული გრაფიკა – მოდელირებისა და რენდერინგის საფუძვლები	28.10.2011
8	ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების სტრატეგიები და მეთოდები	29.10.2011
9	ორენოვანი ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობა უცხო ენების სწავლებისათვის	05.11.2011
10	ორენოვანი ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობა უცხო ენების	24.12.2011

	სწავლებისათვის	

III. საფინანსო დეპარტამენტი

2011 წელს თსუ საფინანსო დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავდა ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებებით.

- თსუ 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდა ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, წარედგინა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად 2010 წლის დეკემბრის თვეში, ანუ წესდებით დადგენილ ვადაში, რაც 2012 წლის 25 იანვარს დამტკიცებულ იქნა რეგენტთა საბჭოს გადაწყვეტილებით.
- თსუ 2011 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 52 016 053 ლარი და 2010 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვრა სულ 62 391 004 ლარით. მათ შორის; სახელმწიფო ბიუჯეტი-საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა - 5 720 690 ლარი; ,,განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის'' ქვეპროგრამის - ,,პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს" 461400 ლარი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2011 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული №321405/2011/109 ხელშეკრულების საფუძველზე ,,ნიჭიერი, გამორჩეული უნარ-ჩვევებისა და სწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამის" ფარგლებში 6 სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქის დაფინანსება და სახელმწიფო სტიპენდია - 31 500 ლარი; ეკონომიკური შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით (სასწავლო გრანტი, სწავლის ქირა, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები) - 46 633 518 ლარი. ეროვნული სამეცნიერო გრანტები 2010 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით 5 926 548 ლარი, საერთაშორისო გრანტები 2010 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით 3 101 330 ლარი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები 2010 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით -516018 ლარი.
- 2011 წლის ხარჯმა (სულ ასიგნებები) შეადგინა 50 618 942 ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლით -19 572 747 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -17 350 243 ლარი; მივლინებები - 1 086 388 ლარი; ოფისის ხარჯები - 4 398 917 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი - 810 168 ლარი; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი 117 257 ლარი; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა –შენახვის ხარჯი-323659 ლარი; სხვა დანარჩენი და საქონელი და მომსახურების ხარჯი-3 136 366 ლარი; სხვა ხარჯები- 2 768 639 ლარი; არაფინანსური აქტივები-1 054 558 ლარი.
- 2011 წლის ბიუჯეტში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებებისათვის, კერძოდ, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, ასევე წიგნების, სასტამბო-საგამომცემლო მომსახურების და სხვა სახის მომსახურების შესაძენად გამოყოფილი იყო 700000 ათასი ლარი.
- ასევე შეფერხებების გარეშე ფინანსდებოდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები, იმიტირებულ პროცესებში მონაწილე სტუდენტები და სხვა. დაფინანსებული იქნა ასევე დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილიც. მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი პრეზიდენტის სტიპენდიით. სულ 334 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია. ასევე

საუნივერსიტეო დაფინსანებიდან 500 000 ლარით დაფინანსდა ბაკალავრიატის სტუდენტებისა და მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

- საქართველოს მთავრობის დადგენილებებით 2010 წელს თსუ-ს შემოუერთდა 13 სამეცნიერო კვლევითი და 2 სასწავლო ინსტიტუტი. რომელთა ფაქტიური შემოერთება განხორციელდა 2011 იანვრის თვიდან. 2011 წლის ბოლოსათვის უნივერსიტეტს შემოუერთდა კიდევ ერთი სამეცნიერო ინსტიტუტი და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა. გარკვეული მუშაობა ჩატარდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დროულად იქნა წარდგენილი 2012-2015 წლების საბიუჯეტო განაცხადი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა იმ პერიოდისათვის შემოერთებული ინსტიტუტების მონაცემებიც.
- 2011 წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებას, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენას. გარკვეული მუშაობა გაიწია უნივერსიტეტთან შემოერთებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე გრანტების მომსახურებაზე. 2011 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა შემოერთებული ინსტიტუტების ჩათვლით 201 საგრანტო პროექტი. მათ შორის: 159 - ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 42 - საერთაშორისო.
- უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხს. სისტემატურად მიმდინარეობდა სალაროსა და საწყობის შემოწმებები. დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების ჩაბარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.
- 2011 წელს უნივერსიტეტი შესყიდვებს ახორციელებდა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 602 ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა 254 ხელშეკრულება ტენდერით შესყიდვაზე, ხოლო 708 გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვაზე. სულ გამოცხადდა 7 169 734 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა. აქედან ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით შესყიდვების ღირებულებამ შეადგინა 6 067 060.47 ლარი, ხოლო სახელმწიფო დაფინანსებით - 1 102 673.17 ლარი. გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა 143 764 ლარის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, რაც მთლიანი შესყიდვების 2%-ს არ აღემატება და ძირითადად განპირობებული იყო საგრანტო პროექტების შესყიდვებით.

IV. პერსონალის მართვის დეპარტამენტი

- 2011 წელს დეპარტამენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა გაიზარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძველზე (დადგენილება №185, 09.07.2010; №210 27.07.2010; №220 03.08.2010; №306 13.10.2010; №274 10.09.2010; №278 10.09.2010; №346), თსუ-სთან შემოერთებულ 13 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ორი სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის მომსახურებასთან დაკავშირებით.
- 2011 წელს თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის მომზადება და დამტკიცება წარიმართა დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით,

ფაკულტეტებთან კონსულტაციების საფუძველზე. თსუ აკადემიური, ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგში, რამდენჯერმე, ფაკულტეტების და დეპარტამენტების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები, შესაბამისი წესით შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და გამოიცა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტები (ბრძ.№24/02-01, 22.02.2011; ბრძ.№77/02-01, 06.05.2011; ბრძ.№107/02-01, 15.06.2011; ბრძ.№108/02-01, 20.06.2011);

- დამტკიცებული საშტატო განრიგისა და სახელშეკრულებო ვადების გათვალისწინებით, 2011 წლის განმავლობაში კონკურსი გამოცხადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიულ ფაკულტეტებზე. საკონკურსო წესით შერჩეულ აკადემიურ პესონალთან სააუდიტორიო დატვირთვის გათვალისწინებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები;
- მოცულობითი სამუშაო განხორციელდა 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში. თსუ აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებების მოთხოვნის საფუძველზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებზე დაზუსტდა აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები. თითოეული პროფესორის ხელშეკრულებაში შევიდა შესაბამისი ცვლილება მხარეთა შეთანხმებით. სამუშაო იყო საპასუხისმგებლო და შრომატევადი, გამომდინარე იქიდან, რომ მასზე იყო დამოკიდებული ხელფასის დარიცხვის სიზუსტე.
- თსუ აკადემიური საბჭოს 122-ე დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, სასწავლო წლის დასაწყისში, გაკონტროლდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისობა პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან. ინფორმაცია პროფესორის ინდივიდუალურ დატვირთვასთან შედარების მიზნით მიეწოდა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.
- პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაო ასევე მასშტაბურია ფაკულტეტებზე მოწვეულ პედაგოგებთან და თსუ დამხმარე პერსონალთან მიმართებაში. სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 961 მოწვეულ პედაგოგთან (მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 236, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 95, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 137, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 202, იურიდიულ ფაკულტეტზე 91, მედიცინის ფაკულტეტზე 50, ენების შემსწავლელ ცენტრში 124, აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში 26)
- თსუ ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში მოწვეულ დამხმარე პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმება და რეგულირება, 2011 წელს მიმდინარეობდა გარკვეული ვადით, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ხელშეკრულებების გაფორმება და განახლება განხორციელდა 960 თანამშრომელთან.

- დეპარტამენტის პასუხისმგებლობით განხორციელდა, ისევე როგორც გასულ წლებში, საკადრო ბაზაში სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა და კონტროლი.
- დეპარტამენტმა თსუ 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით დაასრულა პერსონალის შესახებ ინფორმაციის შეტანა სააღრიცხვო პროგრამა "ორის მენეჯერში" (აქვე შევნიშნავთ, რომ დღემდე მოქმედია ძველი "საკადრო ბაზა", სადაც დაარქივებულია 1998 წლიდან 2009 წლის ჩათვლით პერსონალთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და ამავე დროს ფიქსირდება მიმდინარე მონაცემები, "ორის მენეჯერის" საბოლოოდ დანერგვამდე დეპარტამენტი მუშაობს ორივე ბაზაში, რაც შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას ზრდის);
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნით, 2009 წელს თსუ აკადემიური პერსონალის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეტანილი იქნა პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში. 2011 წლის განმავლობაში, დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხდებოდა აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების დარეგისტრირება და რეესტრში ჩვენს მიერ შეტანილი მონაცემების მონიტორინგი.
- დეპარტამენტი ახორციელებს თსუ-სა და სადაზღვევო კომპანიას შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული საკითხების კოორდინაციას (ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი, სულ 1470 პირი): ყოველთვიურად კონტროლდება და ზუსტდება დაზღვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, რის საფუძველზეც საფინანსო დეპარტამენტი ახდენს შესაბამისი თანხის გადარიცხვას. დეპარტამენტიდან გამოყოფილი საკონტაქტო პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციას უწევს თსუ პერსონალს დაზღვევის დამატებით პირობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას თსუ ვებ-გვერდზე, განცხადებების მიღებას შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით და გადაცემას სადაზღვევო კომპანიისადმი.
- დეპარტამენტის მიერ მომზადდა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშები და მიეწოდა შესაბამის სტრუქტურებს დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;
- 2011 წლის განმავლობაში დამუშავდა, აიკინძა და თსუ არქივს მიეწოდა 1140 ყოფილი თანამშრომლის პირადი საქმე, სოციალურ საკითხთა კომისიის ოქმები, სხვადასხვა შინაარსის მუდმივად შესანახი დოკუმენტები (შევნიშნავთ, რომ თსუ ყოფილი თანამშრომლების პირადი საქმეების მოწესრიგება, დამუშავება და აკინძვა შრომატევადი და სპეციფიური სამუშაოა, რისთვისაც დამატებით ხდებოდა სპეციალისტების მოწვევა. უკვე სამი წელია დეპარტამენტი აღნიშნულ სამუშაოს ასრულებს საკუთარი ადამიანური რესურსის ხარჯზე. რასაკვირველია, გათვალისწინებულია პერსონალის მატერიალური წახალისება, რაც რამდენჯერმე ნაკლებია დამატებითი პერსონალის მოწვევის ხარჯებთან შედარებით. ამასთან, სამუშაოც მეტი პასუხისმგებლობითა და სიზუსტით სრულდება).
- დეპარტამენტი მონაწილეობს უნივერსიტეტში შექმნილი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში: დეპარტამენტის ხელმძღვანელი არის სატენდერო კომისიის წევრი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უფროსი სპეციალისტი ჩართულია საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში, მთავარი სპეციალისტი ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედ დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიას.
- 2011 წლის ნოემბრიდან დეპარტამენტმა გარკვეული მუშაობა გაწია საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე შემოერთებული სასწავლო

უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალის პირადი საქმეების, საშტატო განრიგების, სახელფასო სისტემების, პერსონალთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლისა და დამუშავების მიმართულებით.

დეპარტამენტი სისტემატურად ახორციელებდა დებულებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას:

- ყველა კატეგორიის პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე) ვაკანსიაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებას, შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას და წარდგენას ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;
- შემოსული კორესპონდენციის განხილვას და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზაციას, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლს (2011 წლის განმავლობაში პერსონალის მართვის დეპარტამენტში შემოსულია 6707 სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი);
- საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადებას და წარდგენას დანიშნულების მიხედვით;
- თავისი კომპეტენცის ფარგლებში კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების გაწევას თსუ პერსონალისათვის.
- თსუ პერსონალისათვის თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის დამადასტურებელი ცნობების გაცემას (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
- თსუ პერსონალის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების კონტროლს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მიზნით.
- თსუ აკადემიური და ადმისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შვებულებების გრაფიკის კონტროლს.

V კანცელარია

2011 წელს კანცელარიაში დარეგისტრირდა:

- **შემოსული კორესპონდენცია** **35 550**
- მათ შორის კონტროლზე 2 621
- **გასული კორესპონდენცია** **8 607**

რეაგირება მოხდა კანცელარიაში შემოსულ ყველა დოკუმენტზე,

- **გამოცემული ბრძანებები** **7 210**
- **გაფორმებული ხელშეკრულებები** **8 534**
- მათ შორის მემორანდუმი **60**

გთავაზობთ 2007--2011 წლებში კანცელარიაში დოკუმენტბრუნვის მონაცემების შედარებით ანალიზს

	შემოსული კორესპონდენცია	ბრძანებები	ხელშეკრულებები	გასული კორესპონდენცია
2007 წელი	18 945	3 448	2 462	32 552
2008 წელი	25 482	4 573	3 349	20 565
2009 წელი	31 227	5 372	6 946	20 801
2010 წელი	32 098	5 705	8 775	7 279
2011 წელი	35 550	7 210	8 534	8 607

- გასულ წელთან შედარებით შემოსული და გასული კორესპონდენციისა და ბრძანებების რაოდენობის მატება ძირითადად განპირობებულია სტუდენტთა მობილობისა და შემოერთებული ინსტიტუტების, ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების საქმისწარმოებით. ხელშეკრულებების რაოდენობის შედარებით შემცირება განაპირობა მოქმედი ხელშეკრულებების ვადის ბრძანებით გაგრძელებამ.
- კანცელარიაში შეიქმნა და დანერგილია ელექტრონული საქმის წარმოება, რომლის საშულებითაც ხდება შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და დოკუმენტების აღრიცხვა. მონაცემთა ბაზა საშუალებას იძლევა გვქონდეს სრული სურათი დოკუმენტების დადგენილ ვადებში შესრულების შესახებ, ყოველთვიურად დგება შეუსრულებელი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისათვის. ანალოგიური მონაცემთა ბაზა მუშაობს ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში, რომელიც ჩვენს მიერ იქნა ადაპტირებული და მორგებული მათ სამუშაო სიტუაციას. უნდა აღინიშნოს რომ კანცელარიაში მოქმედი პროგრამა მუშაობს ავტონომიურ რეჟიმში, - თსუ-ში მოქმედი ქსელური სისტემის – კანცელარიის ჯგუფში, იგი მოკლებულია უნივერსიტეტის სივრცეში დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის მოძრაობის საშუალებას. ამჟამად ტარდება საორგანიზაციო სამუშაოები ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი პროგრამის შესაქმნელად, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

VI.საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

1.უნივერსიტეტის პოპულარიზაცია

- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა უნივერსიტეტის, აკადემიური წრეების წარმომადგენლების, სტუდენტთა აქტივობების საზოგადოებისთვის გაცნობა. 2011 წელს განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შუქდებოდა მედია-საშუალებები, გარდა ამისა დამოუკიდებლად მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები.
- 2011 წლის მაისში დაიწყო მუშაობა საგაზეთო ჩანართ - „უნივერსიტეტის“ მომზადება, რომლის მიზანი უნივერსიტეტის საქმიანობის და მიღწევების პოპულარიზაციაა. პირველი ნომერი ივნისში დაიბეჭდა. გასული წლის მანძილზე 7 ნომერი გამოიცა და გავრცელდა 35 ათასიანი ტირაჟით (გაავრცელა ტენდერში გამარჯვებულმა გაზეთმა „კვირის პალიტრა“).

➢ დეკემბრის ბოლოს გამოიცა უნივერსიტეტის ორენოვანი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ პირველი ნომერი. მისი მეშვეობით როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ქვეყნების საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ თსუ-ის კვლევით საქმიანობას, იმ პროექტებს, რომლებიც დაფინანსებულია ადგილობრივი თუ საერთაშორის გრანტებით, ამასთან მიღებული აქვთ საერთაშორისო აღიარება.

➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა ფაქტიურად დაასრულა ახალ ვებ-გვერდზე მუშაობა, რომელიც მომხმარებლისთვის უფრო მარტივი გამოსაყენებელი და მეტი ინფორმაციის მომცველი იქნება. ამჟამად მის ტექნიკურად გამართვაზე მუშაობს საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტი. ვებგვერდის ამოქმედება იგეგმება 2012 წლის გაზაფხულზე.

➢ დეპარტამენტის თანამშრომლები გეგმავენ და ახორციელებენ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების სარეკლამო კამპანიასაც. აღნიშნულ საკითხზე დეპარტამენტი თანამშრომლობს სხვადასხვა სარეკლამო სააგენტოებთან, რომლებიც ტენდერის მეშვეობით შეირჩევიან. წლის განმავლობაში განთავსდა რამდენიმე სარეკლამო რგოლი სხვადასხვა სატელევიზიო არხზე, რადიოში, პრესაში და კინოთეატრებში.

გთავაზობთ ელექტრონულ მედიაში გაშვებული სარეკლამო რგოლების ჩამონათვალს:

➢ სამაგისტრო და ერთიანი ეროვნული გამოცდების რეკლამირება მედიასივრცეში:

➢ ღია კარის დღეების მოწყობა;

➢ სასწავლო და კვლევითი ხასიათის განხცადებების განთავსება პროფილურ ინტერნეტ გვერდებზე;

➢ ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში თსუ–ის პროფესორ–მასწავლებელთა გასვლითი ლექცია–სემინარები;

➢ ურთიერთობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან;

➢ საუნივერსიტეტო ატრიბუტიკის დამზადება.

2. შიდა საუნივერსიტეტო კომუნიკაცია

➢ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საქმიანობს უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან მჭიდრო კავშირში. წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა შემოერთებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

➢ დეპარტამენტის თანამშრომლები უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურებიდან მოძიებულ/მოწოდებულ ინფორმაციას ამუშავებენ და მედიის სხვადასხვა საშუალებებში მიზანმიმართულად ავრცელებენ; ასევე დეპარტამენტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის შიგნით არსებული აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციას.

➢ 2011 წელს დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები, და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები.

➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულ და მიზანმიმართულ

გავრცელებას საუნივერსიტეტო სივრცეში *(ვებ-გვერდი, სარეკლამო დაფები, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში დამონტაჟებული ეკრანები).*

- 2011 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად აგრძელებდა საქმიანობას სოციალურ ქსელში – Facebook. სადაც დღეისათვის 20 000-მდე მომხმარებელია გაწევრიანებული. თითოეული მათგანი ყოველდღიურად ეცნობა უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეებს, გარდა ამისა დეპარტამენტის თანამშრომელი სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობს და აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალთან მათ დაკავშირებას უზრუნველყოფს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube–ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული საინტერესო ვიდეო–მასალები.

3. სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობა

2011 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურებთან:

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს მთავრობის კანცელარია - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საქართველოს პარლამენტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ეროვნული გამოცდების და შეფასების ცენტრი;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსხალებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
- საქართველოს უზენაესი და თბილისის საქალაქო სასამართლოები;
- თბილისის მერია;
- საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან. მათ შორის:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
- სახელმწიფო კონსერვატორია;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;

4. ***გრძელვადიანი პროექტები***

2010 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა კომპანია „ჯეოსელთან“ ერთად განახორციელა ერთობლივი პროექტი:

- თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და **კომპანია "ჯეოსელის"** საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით 2009 წელს სტარტი აიღო სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა "**შემოდგომის ლეგენდა".** 2011 წელს ორგანიზატორების გადაწყვეტილებით პროექტი გაფართოვდა და მასში 9 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ჩაერთო.

კონკურსში მონაწილეობა 200-მდე სტუდენტმა მიიღო, მათ შორის სპეციალურმა ჟიურიმ 15 საუკეთესო გამოავლინა. გამარჯვებულ სამეულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გადასცა ფულადი პრემია.

- 2011 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაიწყო ახალი პროექტი „მისია 2011“. პროექტი განხორციელდა კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოსთან“ ერთად. უნივერსიტეტის მასშტაბით შემოვიდა 44 სტუდენტური ჯგუფის პროექტი. გამარჯვებულ 3 ჯგუფს კომპანიამ „IDS ბორჯომი საქართველომ“ გადასცა ფულადი პრემიები (2500, 1500, 1000 ლარი)
- დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასაახალწლოდ მოამზადეს უნივერსიტეტის საიმიჯო ატრიბუტიკა, მათ შორის, კალენდარი, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის შენობის ისტორიას დაარსებიდან დღემდე, რომელიც უნივერსიტეტის ყველა მეგობარი ორგანიზაციისა და სტრუქტურის წარმომადგენელს გადაეცა.
- "ვეფხისტყაოსნის" კითხვის დღე ტრადიციულია და ყოველწლიურად იმართება. ამ ტრადიციას საფუძველი მწერალმა დათო ტურაშვილმა და პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა საფუძველი 8 წლის წინ ჩაუყარეს. 2011 წელს კითხვის დღე თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა.
- კომპანია „ქართულ ფოლადთან“ ერთად დაიგეგმა მორიგი სამეტაპიანი კონკურსი სტუდენტებისთვის. კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს ერთი წლის განმავლობაში დაენიშნათ სტიპენდია.
- 2011 წელს პირველად მასშტაბურად აღინიშნა ბაკალავრთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება. უნივერსიტეტის ორგანიზებით 30 ივლისს 1500-მდე კურსდამთავრებულმა მოირგო მანტია და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში რექტორთან, პრემიერ-მინისტრთან, განათლების და მეცნიერების მინისტრთან ერთად აღნიშნა უნივერსიტეტის დამთავრება.

5. ***მასმედიასთან ურთიერთობა***

➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი თანამშრომლობს მედია საშუალებებთან.
დეპარტამენტი რეგულარულად ამზადებს პრესრელიზებს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ყველა საინფორმაციო საშუალებას აწვდის ინფორმაციას.

➢ 2011 წელს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები გაშუქდა **ტელევიზიებში:** ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი'', ,,რუსთავი 2'', ,,იმედი'', ,,რეგიონ–ტვ'', ,,კავკასია'', ,,რეალ-ტვ'', ,,საპატრიარქოს ტელევიზია'', ინტერნეტ–ტელევიზია, ტელეკომპანია ,,აჭარა'', „პიკი".
➢ **გაზეთებში:** ,,24 საათი'', ,,ახალი თაობა'', ,,რეზონანსი" "საქართველოს რესპუბლიკა", ,,კვირის პალიტრა", „ტაბულა", „ლიბერალი", „პრაიმ–თაიმი".
➢ **რადიოში:** ,,საზოგადოებრივი რადიო'', ,,ფორტუნა'', ,,რადიო იმედი'', ,,რადიო უცნობი'', ,,თავისუფლება'', ,,მწვანე ტალღა'', ,,რადიო პალიტრა''.
➢ **საინფორმაციო სააგენტოებში:** ,,ინტერპრესნიუსი'', ,,პირველი'', ,,მედიანიუსი'', ,,ბი-ეს-პრესი'', ,,კავკას-პრესი'', ,,ახალი ამბები - საქართველო'', ,,საინფორმაციო სააგენტო – ფაქტი'', ,,ექსპრესნიუსი''.
➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჟურნალისტებისთვის უზრუნველყოფს საჭირო რესპონდენტთა შერჩევას, აწვდის მათ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილ სიახლეებისა და პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტები ქმნიან სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტებს, წერენ საინტერესო სტატიებს.
➢ ტელეკომპანია ,,რუსთავი 2'', ,,იმედის'' და ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ეთერში მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო მოვლენაზე.

VII. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

➢ 2011 წელს ბიბლიოთეკაში ჩაეწერა 952 მკითხველი, აბონემენტიდან გაიცა 4949 და დაბრუნდა 4280 წიგნი. გაიცა 2900 ცნობა წიგნების დავალიანების შესახებ, ამასთან, შემოწმდა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ გადმოგზავნილი თსუ კურსდამთავრებულთა სია წიგნების დავალიანების თაობაზე. შემუშავდა აღნიშნული ცნობის ელექტრონულად გაცემის ფორმა.
➢ 2011 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ინიციატივით მომზადდა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯამში 53 ბრძანების პროექტი.
➢ 2011 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა, აღირიცხა და დამუშავდა 6 707 საბიბლიოთეკო ერთეული, გაფორმდა ჩუქების 192 ხელშეკრულება, რომლითაც უნივერსიტეტს გადაეცა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინიციატივით, 2011 წლის გაზაფხულზე 5 გამომცემლობასთან გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად, გამომცემლობები ვალდებულებას იღებენ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადმოსცენ მათ მიერ დასტამბული წიგნების თითო ეგზემპლარი. სულ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოვიდა უნივერსიტეტისათვის ნაჩუქარი 3 352 საბიბლიოთეკო დოკუმენტი.
➢ მიმდინარეობს რესტავრაციის ლაბორატორიის აღჭურვა. მოეწყო საამკინძაო. 6 თვის განმავლობაში აიკინძა 189 წიგნი და 2007 წელს გამოსული 11 დასახელების გაზეთის ყველა ნომერი. საცავებიდან გამოტანილ 90 ალმანახს ჩაუტარდა გაწმენდითი სამუშაოები. 5 მათგანს ჩაუტარდა ყდის რესტავრაცია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრატორთა

კონსულტაციით ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა რესტავრაცია ჩაუტარეს უნიკალურ დოკუმენტებს, მათ შორის მე-19 საუკუნის ხელნაწერ ასტროლოგიურ ტრაქტატს.

- 1952 წლის შემდეგ პირველად დაიწყო უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია, რომელიც ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. ინვენტარიზაცია ითვალისწინებს 2 ეტაპს: პირველ ეტაპზე მოხდება საბიბლიოთეკო დოკუმენტებისთვის შტრიხკოდების მინიჭება, ხოლო შემდგომ – ამ წიგნის აღრიცხვა ელექტრონულ კატალოგში. ამ დროისთვის 894 280 წიგნს უკვე აქვს თავისი ნომერი.
- ელექტრონულ კატალოგში შევიდა 30 000-მდე საბიბლიოთეკო ჩანაწერი. დასკანერდა 10 000 საკატალოგო ბარათი, მათ შორის საქართველოს საისტორიო - საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციის წიგნებისა, რომლებიც პერიოდულად იტვირთება უნივერსიტეტის საიტზე. ელექტრონული ბიბლიოთეკისთვის დასკანერდა წიგნების 5373 გვერდი, გაკეთდა არსებული პერიოდული გამოცემების საძიებო ცხრილი. სამკითხველო დარბაზში მოეწყო უკაბელო ინტერნეტი.

VIII. საგამოცდო ცენტრი

2011 წლის მანძილზე საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარდა მაგისტრატურის და დოქტორანტურის მისაღები გამოცდები, ბაკალავრიატის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები, აგრეთვე გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების უცხო ენის გამოცდები და მობილობის პროცესში საერთაშორისო სამართლის პროგრამაში მონაწილე კონკურსანტთა გამოცდა.

საგამოცდო ცენტრის მიერ **2010–2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში** ჩატარდა:

- **699** დასკვნითი გამოცდა (48 576 სტუდენტი) ;
- **699** დამატებითი გამოცდა.

საგამოცდო ცენტრის მიერ **2010–2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში** ჩატარდა:

- **217** პირველი შუალედური (22 166 სტუდენტი);
- **617** დასკვნითი გამოცდა (57 690 სტუდენტი) ;
- **617** დამატებითი გამოცდა.

საგამოცდო ცენტრის მიერ **2011–2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში** ჩატარდა:

- დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა - **341** სტუდენტი;
- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა - **2 065** სტუდენტი.
- **406** პირველი შუალედური გამოცდა (**59 666** სტუდენტი);
- **80** მეორე შუალედური გამოცდა (**20 940** სტუდენტი);
- **747** დასკვნითი გამოცდა (**83 063** სტუდენტი) ;
- **747** დამატებითი გამოცდა.

2010-2011 წლის შემოდგომის სემესტრის ძირითადი/დამატებითი გამოცდები

ფაკულტეტი	*საგნების რაოდენობა*	*სტუდენტთა რაოდენობა*
ეკონომიკისა და ბიზნესის	54	1494
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	134	10436
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	306	14635

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	72	7079
იურიდიული	57	12932
მედიცინის	38	2000
ჯამი	**699**	**48576**

2010-2011 წლის გაზაფხულის სემესტრის პირველი შუალედური გამოცდები

ფაკულტეტი	*საგნების რაოდენობა*	*სტუდენტთა რაოდენობა*
ეკონომიკისა და ბიზნესის	64	5546
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	116	8315
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	10	1891
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	3	400
იურიდიული	24	6014
ჯამი	**217**	**22166**

2010-2011 წლის გაზაფხულის სემესტრის ძირითადი/დამატებითი გამოცდები

ფაკულტეტი	*საგნების რაოდენობა*	*სტუდენტთა რაოდენობა*
ეკონომიკისა და ბიზნესის	78	7535
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	126	17648
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	260	12523
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	62	4943
იურიდიული	80	14541
მედიცინის	11	500
ჯამი	**617**	**57690**

2011-2012 წლის შემოდგომის მაგისტრატურა/დოქტორანტურაში მისაღები გამოცდები

ფაკულტეტი	*მაგისტრატურა (სტუდენტთა რაოდენობა)*	*დოქტორანტურა (სტუდენტთა რაოდენობა)*
ეკონომიკისა და ბიზნესის	685	58
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	212	72
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	276	111

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	327	60
იურიდიული	547	22
მედიცინის	18	18
ჯამი	**2065**	**341**

2011-2012 წლის შემოდგომის სემესტრის პირველი შუალედური გამოცდები

ფაკულტეტი	*საგნების რაოდენობა*	*სტუდენტთა რაოდენობა*
ეკონომიკისა და ბიზნესის	66	15276
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	127	16258
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	8	2359
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	22	5287
იურიდიული	65	16856
ტურიზმის სკოლა	18	3630
ჯამი	**406**	**59666**

2011-2012 წლის შემოდგომის სემესტრის მეორე შუალედური გამოცდები

ფაკულტეტი	*საგნების რაოდენობა*	*სტუდენტთა რაოდენობა*
ეკონომიკისა და ბიზნესის	1	300
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	9	1728
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	9	2454
იურიდიული	61	16458
ჯამი	**80**	**20940**

2011-2012 წლის შემოდგომის სემესტრის ძირითადი/დამატებითი გამოცდები

ფაკულტეტი	*საგნების რაოდენობა*	*სტუდენტთა რაოდენობა*
ეკონომიკისა და ბიზნესის	62	16164
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	133	16277
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	339	14810
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	69	9710
იურიდიული	77	19199

მედიცინის	50	3500
ტურიზმის სკოლა	17	3403
ჯამი	**747**	**83063**

IX. გამომცემლობა

➢ გამომცემლობამ კალენდარული წლის დასაწყისში შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის შედგენის პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა თითოეული ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოსთან, რის საფუძველზეც გამოიკვეთა პრიორიტეტები და მივიღეთ სურათი, თუ რა პუბლიკაციების გამოცემა და თარგმნა მიიჩნია პრიორიტეტულად უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, რომელია სამეცნიერო კლასიკად ქცეული რარიტეტული ნაშრომები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის უკეთ წარმართვას. დაისტამბა უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის და თსუ-ის გამომცემლობის მიერ მომზადებული თარგმანი ცნობილი ეკონომისტის, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის ოლივიე ბლანშარის წიგნისა – „მაკროეკონომიკა“ (მე-5 გამოცემა). დაიბეჭდა აგრეთვე ავტორიზებული თარგმანი ინგლისური გამოცემისა -,, ლინგვისტიკის ისტორია ევროპაში პლატონიდან 1600 წლამდე'', ავტორი – ვივიენ ლო, გამომცემელი Gambridge University Press. გამომცემლობაში გრძელდება 2011 წლის პროექტი Very short introductions. უნივერსიტეტის გამომცემლობამ უკვე დაბეჭდა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემათა სერიიდან წიგნები: სიუზან ბლექმორის - ცნობიერება, ტიმოთი გოუერსის - მათემატიკა, ფრენკ ქლოუზის - ნაწილაკების ფიზიკა. გამოსაცემად მზადაა: ჯონათან ქულერის - ლიტერატურის თეორია, ჯილიან ბატლერის და ფრედა მაკმანუსის - ფსიქოლოგია, ჯონ არნოლდის - ისტორია, რეიმონდ უექსის - სამართლის ფილოსოფია. 2011 წელს წარმოებული მოლაპარაკება დასრულებულია შემდეგი წიგნების გამოსაცემი უფლების მოსაპოვებლად: ბიოტექნოლოგიების შესავალი, ავტორები – უილიამ ტიელენი და მიშელ პალადინო, გამომცემელი Pearson Education. გინეკოლოგია, ავტორები – ერილ ნორვითსი და ჯონ შორჯი, გამომცემელი Jhon Willey@Sons. აგრეთვე, ფარმაკოლოგია, გამომცემელი Lippincott Williams@Wilkins.

➢ ფუნქციონირებს თსუ-ის გამომცემლობის ვებგვერდი, სადაც იტვირთება სადისერტაციო და სხვა ტიპის ნაშრომების ელექტრონული ვერსიები.

➢ ჩვენი უპირველესი სურვილი იყო საუნივერსიტეტო გამოცემების სრულად და შეუფერხებლად ბეჭდვა (საჭირო რომ არ გახდეს სხვისი პოლიგრაფიული მომსახურება, რაც, თავისთავად, აფერხებს საგამომცემლო საქმიანობას), უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ერთობლივი შერჩევისა და კონკურსის დადგენილი წესით განახლდა გამომცემლობის პოლიგრაფიული უზრუნველყოფის ბაზა – გამომცემლობის მონაწილეობით და უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტისა და სატენდერო კომისიის მეშვეობით.

➢ შეძენილ იქნა შემდეგი დასახელების პოლიგრაფიული ტექნიკა:

1. ოფსეტური ბეჭდვის მანქანა 2 სექციანი;

2. CTP ფერდაშლის აპარატი;

3. გასამჟღავნებელი აპარატი;

4. ერთდანიანი მაღალი სიჩქარის საჭრელი დანადგარი;

5. თერმოაკინძვის ავტომატური დანადგარი;

6. მაგარ ყდაში ჩასმის დამხმარე დანადგარები;

7. ფერადი ციფრული საბეჭდი მანქანა;

8. თერმული აკინძვის დანადგარის ცხელი წებოს მიმღები კვანძი.

➢ გამომცემლობა უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლად იქცევა. პოლიგრაფიული ბაზის გაძლიერება ნამდვილად შეუწყობს ხელს სამეცნიერო შრომების, ხელმძღვანელოების, სხვადასხვა სახის გამოცემების ორგანიზებას, გაზრდილი მოთხოვნების პირობებში საქმიანობის ეფექტურად და ხარისხიანად წარმართვას.

X.იურიდიული დეპარტამენტი

<u>სასამართლო პროცესები</u>

➢ მიმდინარე სასამართლო პროცესები – 6 (აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა – 3, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული დავა - 1, ფაქტის დადგენა - 1, სამეცნიერო პერსონალის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1).

➢ დამთავრებული საქმეები – 2, (სტუდენტის უნივერსიტეტში აღდგენასთან დაკავშირებული დავა -1, უნივერსიტეტიდან ქონების გამოთხოვნასთან დაკავშირებული დავა -1) .

<u>საჯარო ინფორმაცია</u>

➢ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეგისტრირებულია 67 განაცხადი.

აღნიშნული 67 განაცხადიდან:

➢ 9 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და დამხმარე პერსონალის თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გარდა პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნისა;

➢ 15 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობის, გაცემული ხელფასების და დანამატების, პრემიების, მივლინებების თაობაზე; საშტატო განრიგის შესახებ; შტატიანი და მოწვეული ლექტორების ანაზღაურების თაობაზე; სარეკლამო, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა ღონისძიებების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის; სატელეკომუნიკაციო, საწვავის და ავტომანქანებით მომსახურებაზე გაწეული ხარჯების, ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალისა და სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე; საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილების მოთხოვნასა და მასზე უარის

თქმის თაობაზე – ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გარდა პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნისა.

- 16 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა და გაწეული ხარჯების თაობაზე ინფორმაცია – ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 5 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური საბჭოს ადმინისტრაციული აქტის ასლი - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 4 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის თაობაზე – ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების ასლი – რაც დაკმაყოფილდა.
- 3 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია პერსონალური მონაცემის შესახებ - რაზედაც განმცხადებლებს მიეცათ განმარტება, რომ აუცილებელია იმ პირთა თანხმობა, რომელზეც ითხოვენ ინფორმაციას.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აუდიტორიებში მიმდინარე ლექციების მთლიანი ცხრილი – რაც დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის დეკრეტული შვებულების შესახებ (სტატისტიკური მონაცემების სახით) – რაც დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2005-2006 წლებში საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე 5 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი საგნების ნუსხის, კრედიტების, საათების თაობაზე ინფორმაცია – რაც დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2008-2009, 2009-2010 წლებში იურიდიულ ფაკულტეტზე ბაკალავრიატზე ჩარიცხული სტუდენტების (მათ შორის სახელმწიფო დაფინანსების მქონე) საერთო რაოდენობის შესახებ - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 5 განაცხადით მოთხოვნილ იქნა პერსონალური მონაცემების შემცვლელი ინფორმაცია, რომელიც არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულზე სასამართლოს გადაწყვეტილებით მეორე მხარის მოთხოვნა უსაფუძვლოდ იქნა ცნობილი.
- 5 განაცხადით მოთხოვნილ იქნა სხვადასხვა შინაარსის საჯარო ინფორმაცია - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მხრიდან შემოსული განცხადებები - 1322 განცხადება;
- მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებასა და მემორანდუმს – 550;
- მომზადდა ხელშეკრულებები:

ქირავნობა - 24

მომსახურება - 171
იჯარა - 4
სხვადასხვა – 291

- უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით გადმოცემასთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და ინსტიტუტები) უზრუნველვყავით შიდა აზომვების, საკადასტრო აზომვებისა და სხვა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში წარდგენა, რის შემდგომ უძრავი ქონება სარგებლობაში გადაეცა უნივერსიტეტს.
- დეპარტამენტი მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე აგრძელებს მუშაობას აღნიშნული უძრავი ქონების უნივერტსტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 15.09.2008წ. №130 დადგენილებით იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების შედეგებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა პროცედურულ დარღვევებზე და აკადემიური საბჭოსათვის შედეგების შესახებ დასკვნების წარდგენა, რომლებიც მომზადდა და წარდგენილ იქნა იურიდიული დეპარტამენტის მიერ.
- იურიდიული დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული საინვენტარიზაციო კომისიისა და საქმიანობაში.
- იურიდიული დეპარტამენტი მისი ხელმძღვანელის სახით მონაწილეობს სატენდერო კომისიის მუშაობაში.
- იურიდიული დეპარტამენტი უწევდა შესაბამის კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს, ასევე აქტიურად თანამშრომლობდა სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებების მომზადების კუთხით, დეპარტამენტის ახდენდა მათ სამართლერივ ექსპერტიზასა შესაბამისი დასკვნის მომზადებას ან/და ვიზირებას.

XI. შიდა აუდიტის სამსახური

- სამსახურის მიერ შემუშავებულია და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 22 ივლისის N140/02-01 ბრძანებით დამტკიცებულია 2011 წლის წლიური და 2011-2013 წლების სტრატეგიული გეგმები. გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლასთან ერთად ხელმძღვანელობის დავალებით, სამსახურის მიერ ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. ამასთან სამსახური, ახორციელებდა უნივერსიტეტში მოქალაქეების მხრიდან შემოსული წერილების (საჩივრები, კითხვები) შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას. უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა სიტყვიერი მომართვის საფუძველზე, სამსახური პერმანენტულად უწევდა კონსულტაციებს და აძლევდა სათანადო რეკომენდაციებს მათ სამუშაო პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში.
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 2 მარტის N34/02-01 და 31 მარტის N48/02-01 ბრძანებების საფუძველზე, ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მიერ

2010 წელს განხორციელებული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგებზე შედგენილი აქტი სამსახურის უფროსის 2011 წლის 10 მაისის N11529/02 და 11528/02 მოხსნებითი ბარათებით წარედგინა უნივერისიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომლებშიც მითითებული იქნა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

- შიდა აუდიტის სამსახურში განსახილველად შემოსული იყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის 2011 წლის 6 აპრილის N8705/02 მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეეხებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში შეფასებების შესაძლო გაყალბების ფაქტებს. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრიდან, სხვადასხვა სამსახურებიდან გამოთხოვილ ინფორმაციებზე დაყრდნობით და შესაბამისი თანამშრომლების მხრიდან მიღებული ახსნა–განმარტებების საფუძველზე, მომზადდა მოხსენებითი ბარათი და რადგანაც შესაძლებელი იყო ხსენებულ ქმედებებში ადგილი ჰქონოდა სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ფაქტებს მოპოვებული მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, 2011 წლის 6 მაისს N862/01-02-03-12 წერილით გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.
- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხილულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 27 აპრილის N07-1-20/5196 წერილი, რომელიც შეეხებოდა მოქალაქე ჯემალ ქურხულის განცხადებებს (საჩივრებს) ფინანსურ, ადმინისტრაციულ და ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით. სამსახურის მიერ მოძიებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოდან - ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებების საქმეზე 2011 წლის 29 მარტს გამოტანილი დადგენილება - მოქალაქე ჯემალ ქურხულის განცხადებებში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით მართლსაწინააღმდეგო ქმედებების არ არსებობის გამო, ხსენებული საქმის შეწყვეტის შესახებ, რაც შესაბამისი წერილით (18.05.2011წ. N916/01-02-03-08) ეცნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
- სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა თსუ-სა და შპს ,,უნისერვისი 2009“–ს შორის 2010 წლის 13 მაისს გაფორმებული N57/08 საიჯარო ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობა და მისი ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემისას კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის N247 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობა. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხელშეკრულება დადებული იყო მთავრობის ზემოხსენებული დადგენილების მოთხოვნათა დარღვევებით, რაც დაფიქსირებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ამასთან, მიეცათ რეკომენდაცია შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რათა ხელშეკრულებაში შესულიყო სათანადო ცვლილებები, რომლებიც ნათლად განსაზღვრავდა მხარეთა კონკრეტულ ვალდებულებებსა და პირობებს (შპს ,,უნისერვისი 2009“–ზე სასწავლო კორპუსებში იჯარით გაცემული ფართის ოდენობა, მათზე განთავსებული კვებისა და გამაგრილებელი სასმელების აპარატების რაოდენობების მითითებით). გარდა ამისა, მომხდარიყო გადაანგარიშება მოიჯარის მიერ გადაუხდელი საიჯარო თანხისა და არსებული აპარატების მიერ ფაქტობრივად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების და შესაბამისად ამოქმედებულიყო ხელშეკრულების მე–5

მუხლით განსზღვრული მოთხოვნები (დროულად გადაუხდელი თანხის პირგასამტეხლო), ხოლო მხარეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში განეხილათ ხელშეკრულების მოშლის საკითხი და გატარებინათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 22 ივლისის N140/02-01 ბრძანებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შერჩევით შემოწმდა, 2011 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, უნივერსიტეტის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ავტოტრანსპორტის მიერ საწვავის ხარჯვის დოკუმენტურად დადასტურების, უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების და ანგარიშვალდებულ პირებზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ჩამოწერის (დაფარვის), საბუღალტრო ანგარიშებზე და გამოქვითვას დაქვემდებარებულ ხარჯებში ასახვის მდგომარეობა და მათი შესაბამისობა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან. არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით, სამსახურის მიერ შემუშავებული და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში დაგზავნილი იქნა კონკრეტული რეკომენდაციები.
- შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 5 ოქტომბრის N2005/02-02 ბრძანების შესაბამისად, სამსახურის მიერ შესწავლილია, დაბა ბაკურიანში, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების (მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის და ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის შენობა–ნაგებობები) მდგომარეობა. საკითხის შესწავლის შემდგომ მომზადებულია N28867/02 მოხსენებითი ბარათი, სადაც აღინიშნა არსებული უძრავი ქონების მდგომარეობა, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი და შემდგომი განკარგვის მიზანშეწონილობა.
- სამსახურში 2011 წლის 11 აპრილს საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, გამოვლენილი იქნა თსუ-ის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობის დანაკლისი და მასზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის 17 მაისს მომზადდა N12200/02 მოხსენებითი ბარათი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე, რომლითაც შესაბამის სამსახურებს მიეცათ რეკომენდაცია გამოვლენილი დანაკლისის (სასაქონლო ან ფულადი ფორმით) დაფარვასთან დაკავშირებით.
- სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა თსუ-ის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებული სიტყვიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა ყოფილი პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე შპს ,,გრემის“ განთავსებას. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა მოხსენებითი ბარათი (N26303/02) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც მითითებული რეკომენდაციის საფუძველზე, უნივერსიტეტს უნდა მიემართა შპს ,,გრემის“ ხელმძღვანელობისათვის, რათა გაეთავისუფლებინა 2006 წლის 1 იანვრიდან კანონიერი საფუძვლების გარეშე დაკავებული ფართი, ხოლო შესაძლო სირთულეების წარმოქმნის შემთხვევაში იურიდიულ დეპარტამენტს მიეცა რეკომენდაცია სათანადო წესების დაცვით მიემართა სასამართლოსათვის სამართალწარმოების დასაწყებად. ფართის გამოთავისუფლების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ემსჯელა მისი იჯარით გაცემის მიზანშეწონილებაზე.
- შიდა აუდიტის სამსახურში 2011 წლის 28 სექტემბერს განსახილველად შემოვიდა ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის

შემსრულებლის N190/110 წერილი, რომლითაც ითხოვდა ინსტიტუტის N224 ოთახში ხანძრის გაჩენის გამო განადგურებული ინვენტარის ჩამოწერას. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ფაქტი შეესაბამებოდა სინამდვილეს, რაც დადასტურდა ქ. თბილისის მერიის სსიპ - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ვაკე–საბურთალოს რაიონული განყოფილების 2011 წლის 3 ოქტომბრის N328 წერილით. ასევე საკითხის შესწავლისას მოძიებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე–საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე–5 განყოფილების 2011 წლის 7 ნოემბრის N1382578 ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაწყებულა. თსუ-ის შესაბამის სამსახურებს კი მიეცათ რეკომენდაცია განეხორციელებინათ სავალდებულო ინვენტარიზაცია და ხანძრის შედეგად განადგურებული მატერიალური ფასეულობების კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერა.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 4 თებერვლის N07-2-20/1166 და უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის 2011 წლის 15 მარტის N6104/02 წერილების თანახმად, სამსახურმა განიხილა და შეისწავლა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის მართვის მიმართულების ქვემიმართულება მენეჯმენტის მოდულზე ,,სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვა“ ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 2010 წლის შესარჩევი კონკურსანტის მოქალაქე მზია წულუკიძის განცხადება, რომლითაც ის ითხოვდა კონკურსის მასალების გადამოწმებასა და დარღვევების გამო კონკურსის შედეგების გაუქმებას. მოძიებული მასალები და არსებული ფაქტების შესახებ 2011 წლის 19 მაისს N12524/02 სამსახურებრივი ბარათით ეცნობა უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტს.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 17 თებერვლის N07-1-20/1824 წერილისა და უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 28 თებერვლის N4162/02 მოხსენებითი ბარათის თანახმად, სამსახურმა განიხილა უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლის მანანა ხარხელის 2010 წლის 5 ნოემბრის განცხადება, რომლითაც ითხოვდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მივლინების, ფაკულტეტის ბიუჯეტის განკარგვისა და ხელფასის ანაზღაურების საკითხების შესწავლას. აღნიშნული საკითხების შესწავლის შემდგომ გამოვლენილი გარემოებების შესახებ 2011 წლის 22 მარტის N567/01-02-03-12 და 18 მაისის N917/01-02-03-08 წერილებით ეცნობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სადაც აღინიშნა გამოვლენილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული სავალდებულო საშუალოკვირეული დატვირთვების შეუსრულებლობის გამო) ზედმეტად დარიცხული ხელფასი, რაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 19 ივლისის N284/02-03 ბრძანების საფუძველზე იყო დაქვითული.
- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესრულების მიზნით თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით, რიგი შემოერთებული ინსტიტუტებიდან (სულ 6 ინსტიტუტი) გამოთხოვილი და შესაბამისად უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტისათვის გადაცემული იქნა ინსტიტუტების მიერ ჩაუბარებელი გერბიანი ბეჭდები და შტამპები.
- უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული საშუალოკვირეული დატვირთვის შეუსრულებლობის შემთხვევების საკითხის შესწავლით და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მოწოდებული მასალების ანალიზის საფუძველზე, სამსახურის მიერ 2011

წლის 25 მაისს მომზადდა N13095/02 მოხსენებითი ბარათი, სადაც გაწერილი იქნა რეკომენდაციები უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის. კერძოდ, აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრული დატვირთვისა და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ფაქტობრივად ჩატარებული სალექციო კურსის შესაბამისად ხელფასის (თანამდებობრივი სარგო, დანამატი) დარიცხვა–გაცემის დარეგულირების მიზნით სათანადო წესის შემუშავებაზე, რაც თსუ-ის სხვა სამსახურებთან ერთად ერთობლივად მომზადდა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა 2011 წლის 14 ნოემბერის N112 დადგენილებით (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსინალის შრომის ანაზღაურების დამატებითი პირობების განსაზღვრის შესახებ) .

- სამსახურის მიერ განხილულ იქნა საფაკულტეტო სავალდებულო საშუალოკვირეულ დატვირთვაში წაკითხული ლექციების ჩათვლის საკითხები, რომლებიც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით და გაანალიზებით გამოსწორებულ იქნა და მოხდა აკადემიურ პერსონალზე ზედმეტად დაქვითული თანხების უკან დაბრუნება.
- სამსახურის მიერ განხილული იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიაში არსებული ხელსაწყოს (დიფერენციალური სკანირების კალორიმეტრი) ტესტირება–სწავლებისათვის უცხოეთიდან სპეციალისტის მოწვევის საკითხი, რის შემდგომაც გაირკვა, რომ აღნიშნული ხელსაწყო საჭიროებდა არა ინსტალირებას, არამედ შეკეთება–გამართვას.
- შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლების მიერ 2011 წელს სარეგისტრაციო ბარათით დაფიქსირებულია ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის მიერ სამსახურში დაგვიანების, ადრე წასვლისა და გამოუცხადებლობის 376 შემთხვევა. აქედან ცენტრალური ადმინისტრაციაში – 74; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 94; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 141; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 31; მედიცინის მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 14; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 22.
- რაც შეეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას - განყოფილების თანამშრომლების მიერ დაფიქსირებულია ლექცია–სემინარებზე პროფესორ–მასწავლებელთა დაგვიანებისა და გაცდენის 112 შემთხვევა. აქედან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 24; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 29; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 31; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 19; აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაზე – 9.
- საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ, შემოსულ წერილებზე დაყრდნობით, სათანადო რეაგირებისათვის წერილებში დაფიქსირებულ ფაქტებთან დაკავშირებით თსუ–ის დისციპლინურ კომისიაზე გადაგზავნილი იქნა შესაბამისი მასალები.
- ყოველივე ზემოხსენებულთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი განხორციელდება მიმდინარე წლის განმავლობაში.

XII.კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

კულტურა:

- 2 და 3 იანვარს სტუდენტურმა თეატრმა „სხვენმა“ გამართა საახალწლო წარმოდგენები თსუ-ს თანამშრომელთა შვილებისათვის.
- 20 იანვარი - 1 თებერვალი - ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,უნივერსიტეტმა“ მიიღო მონაწილეობა იტალიის ქ. აგრიჯენტოში გამართულ ფოლკლორულ საერთაშორისო ფესტივალში და დაიკავა პირველი ადგილი.
- **28** მარტს სტუდენტურმა თეატრმა „სხვენმა“ გამართა წარმოდგენა - „ბალაგანი“.
- **7 მაისს** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით გრიბოედოვის თეატრში გაიმართა საუნივერსიტეტო ფესტივალი-ოლიმპიადა "ჯუნიორი-2011". ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს 5 სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტური ანსამბლი, მათ შორის თსუ-ს ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი 2“.
- **10-15 მაისის** ჩათვლით თურქეთის ქალაქ სტამბულში გაიმართა იედიპე უნივერსიტეტის მე-6 საერთაშორისო საუნივერსიტეტო ფოლკლორის ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობდა 7 ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტი. სულ 12 ანსამბლი, მათ შორის თსუ-ს ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი". თსუ-ს ანსამბლმა დაიმსახურა საყოველთაო მოწონება და დამსახურებულად მიენიჭა საუკეთესო ანსამბლის წოდება.
- **16 მაისს** კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა პოეზიის საღამო მურმან ჯინორიას მონაწილეობით.
- **19 მაისს** „არტ ჰოლში“ გაიმართა სტუდენტური ფესტივალი "ყვავილების დედოფალი 2011" ფესტივალში მონაწილეობდა უნივერსიტეტის 20–მდე სტუდენტი გოგონა.
- 18-22 მაისს თბილისში, ვაკის სპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა „სტუდენტური დღეები 2011“.
- **თსუ-მ გაიმარჯვა შემდეგ ნომინაციებში:**

1. ყველაზე ორგანიზებული უნივერსიტეტი;
2. საუკეთესო ფოლკლორული ჯგუფი - „თსუ გორდელა“;
3. საუკეთესო შემსრულებელი - ჯგუფი EverGreen;
4. ფესტივალის საუკეთესო გულშემატკივარი;
5. საუკეთესო ფოტოს ავტორი.

- 24, 25 და 26 მაისს ჩატარდა საუნივერსიტეტო ღონისძიება „სტუდენტური დღეები 2011“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თსუ-ში არსებულმა სტუდენტურმა ჯგუფებმა და სოლო შემსრულებლებმა. გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში:

- მხატვრული კითხვა: თემო შენგელია;
- ცეკვა: ჯგუფი Cheer Drup;
- მუსიკა: დუეტი.
- გრან-პრი: ბენდი Blues Session.

- **29 მაისს** კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი დაეხმარა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებაში. მონაწილეობდა გოგონათა დრატიციული მუსიკის ანსამბლი „თსუ გორდელა“.

- 2 ივნისს სტუდენტურმა თეატრმა „სხვენმა“, გამართა წარმოდგენა „თავისუფალ თეატრში“.
- 6 ივნისს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, საპატრიარქოს კურთხევით ჩატარდა თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამო.
- 15 ივნისს თსუ-ს VIII კორპუსში გაიმართა თსუ-ს შემოქმედებითი ჯგუფების: „თსუ-გორდელას“, გოგონათა ანსამბლის „უნივერსიტეტის“ და ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „უნივერსიტეტის“ ერთობლივი კონცერტი.
- 20-27 ივნისი - ქორეოგრაფიული ანსამბლის ,,უნივერსიტეტის“ გასტროლი თურქეთში, საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე, სადაც ანსამბლმა მოიპოვა გრან-პრი.
- 20 ივნისს თსუ-ს VIII კორპუსში ჩატარდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბის შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატის ფინალი და გამოვლინდა გამარჯვებული.
- 11 ივლისს, 20:00 საათზე, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა „თსუ-გორდელას“ სოლო კონცერტი.
- 18 ივლისს, 22:00 საათზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ფოლკლორული ფესტივალის „არტ-გენის“ ფარგლებში გაიმართა „თსუ-გორდელას“ სოლო კონცერტი.
- კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, 28 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი „ერთა ხმა 2011“.ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონცერტები შემდეგ ქალაქებში: ბათუმი, ქუთაისი და ზუგდიდი. აღნიშნულ ფესტივალზე სტუმრად იმყოფებოდა 10 დელეგაცია სხვადასხვა ქვეყნიდან.
- 28 ივლისიდან 4 სექტემბრამდე უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ იმყოფებოდა გასტროლზე ესპანეთში. ანსამბლი მიწვეული იყო სხვადასხვა ფესტივალზე, ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა და მოიპოვა გრან პრის.
- 2 სექტემბერს საირმეში გაიმართა თსუ-გორდელას სოლო კონცერტი, რომელმაც.
- 3 სექტემბერს გაიმართა „ყაზბეგობა 2011“ სადაც მიწვეული იყო „თსუ-გორდელა“
- 3 ოქტომბერს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ს ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ და „თსუ - გორდელა“, ნიაზ დიასამიძის ბენდთან ერთად.
- დეკემბერში გაიმართა სტუდენტური თეატრის „სხვენის“ კიდევ ერთი წარმოდგენა წარმოდგენილი იყო ლაშა თაბუკაშვილის პიესაზე დადგმული სპექტაკლი - „ჭრილობა“.
- 16 დეკემბერს, თსუ-ს VIII კორპუსში კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა ჯგუფის „Diz Dizzy“ კონცერტი, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა.
- 28 დეკემბერი - უნივერსიტეტის მან-სან-კანის გუნდმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში, სადაც იასპარეზა წარმატებით და დაიკავა მეორე ადგილი.

სპორტი

- 25 მაისი - 11 ივნისი - გაიმართა საქართველოს სტუდენტური უნივერსიადა, სადაც უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა შემდეგ სახეობებში :

1. მკლავჭიდი - 5 ოქროს მედალი;
2. ქალ ფრენბურთელთა გუნდი - I ადგილი;
3. ათლეტიზმი - გუნდური I ადგილი;
4. თავისუფალი ჭიდაობა - 2 ოქროს მედალი;
5. ძიუდო - 1 ოქროს მედალი;
6. ფეხბურთი - II ადგილი;
7. კალათბურთი - II ადგილი.

- 25 იანვარი - თსუ - ს საკალათბურთო გუნდი დაეუფლა ქორქია საკანდელიძის სახელობის თასს.
- 20 მაისი - უნივერსიტეტის ვაჟ-კალათბურთელთა გუნდმა საქართველოს 20 წლამდელთა ჩემპიონატში დაიკავა მეორე ადგილი.
- 25 მაისი - უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდმა საქართველოს უმაღლეს ჩემპიონატში მოიპოვა ვერცხლის მედალი.
- 27 მაისი - უნივერსიტეტის ქალ კალათბურთელთა გუნდმა საქართველოს უმაღლეს ჩემპიონატში მოიპოვა მეორე საპრიზო ადგილი.
- 30 მაისი - თსუ-ს ათლეტიზმის ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული.
- 6 ივნისი - უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი საქართველოს უნივერსიტეტებს შორის გამართულ ჩემპიონატ ,,უნიბურთში“.
- 10 ივნისი - უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდმა მოიპოვა ,,უნიბურთის“ თასი.
- 15 ივნისი - საქართველოს უმაღლეს ჩემპიონატში ქალ ფრენბურთელთა შორის უნივერსიტეტის გუნდმა დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.
- 20-25 ივნისის ჩათვლით, თურქეთის ქ. ყარსში გაიმართა ტრადიციული შავი ზღვისპირა ქვეყნების საგაზაფხულო სტუდენტური საერთაშორისო უნივერსიადა, სადაც მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს სტუდენტებმა. უნივერსიადა გაიმართა შემდეგ სახეობებში:

- მინი-ფეხბურთი I ადგილი;
- ბადმინტონი (ვაჟები) III ადგილი;
- ჭადრაკი (გოგონები) I ადგილი;
- ჭადრაკი (ვაჟები) I ადგილი;
- მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები) I ადგილი;
- მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები) II ადგილი;
- ჩოგბურთი (ვაჟები) I ადგილი;
- ჩოგბურთი (გოგონები) I ადგილი;
- ფრენბურთი (ვაჟები) III ადგილი;

- ფრენბურთი (გოგონები) I ადგილი;

უნივერსიტეტმა აღნიშნულ უნივერსიადაში მოიპოვა პირველი გუნდური ადგილი.

➢ 8-14 ივლისის ჩათვლით, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა ტრადიციული ტურნირი მინი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. მონაწილეობდნენ :

- კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;
- სტუდენტური თვითმმართველობა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- იურიდიული ფაკულტეტი;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- მატერიალური რესურსების დეპარტამენტი;
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური.

➢ ფინალური შეხვედრა წარიმართა საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტსა და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს შორის და საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის გამარჯვებით დასრულდა.

➢ 15 ივლისი - 10 ოქტომბერი - ჩემპიონატი საქართველოს უნივერსიტეტებს შორის კალათბურთში. უნივერსიტეტმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

➢ 3 დეკემბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ათლეტიზმში, სახელწოდებით ,,საქართველოს ღია ჩემპიონატი ღერძის აჭიმვასა და ამოწევაში''. შეჯიბრში საქართველოს გუნდებთან ერთად მონაწილეობდნენ ირანისა და ერაყის სპორტსმენები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ტურნირზე სრული შემადგენლობით იყო მიწვეული: 15 ათლეტი ღერძის აჭიმვაში, 15 ათლეტი ღერძის ამოწევაში. ტურნირზე წარმატებით იასპარეზა თსუ-ს გუნდის 9 წარმომადგენელმა და მათ პირველი ადგილი დაიკავეს.

➢ 2011 წლის 17 დეკემბერი - თბილისის ღია ჩემპიონატი (Friendly Cup), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდის - ,,იბერია სთარის'' წინააღმდეგ შესანიშნავად იასპარეზა, გამარჯვება მოიპოვა და ტურნირის ჩემპიონი გახდა.

➢ 20-25 დეკემბერი - აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის სახელობის თასი. აღნიშნული ტურნირი გამოირჩევა დიდი პოპულარობით და მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები. ტურნირი უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გამარჯვებით დასრულდა, დაამარცხეს რა საქართველოს

ეროვნული უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების რამოდენიმე ფეხბურთელით.

XIII. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

➢ ***<u>პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები:</u>***

1. ბილეფელდის უნივერსიტეტი (გერმანია)
2. იენის ფრიდრიხ-შილერის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია)
3. ციტაუ/გორლიცის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი (გერმანია)
4. ტუბინგენის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის განყოფილება (გერმანია)
5. ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი (ეგვიპტე)
6. დელ მარის საერთაშორისო კამპუსი (ესპანეთი)
7. ფატიჰის უნივერსიტეტი (თურქეთი)
8. დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი (თურქეთი)
9. აკდენიზის უნივერსიტეტი (თურქეთი)
10. იზმირის უნივერსიტეტი (თურქეთი)
11. რიკენ ომიკის მეცნიერების ცენტრი (იაპონია)
12. ინდოეთის კულტურულ ურთიერთობათა საბჭო (ინდოეთი)
13. ევროპული განათლების ცენტრი (ინდოეთი)
14. კიეტა-პესკარის გ.დ. ანუციოს უნივერსიტეტი (იტალია)
15. ფლორენციის უნივერსიტეტი (იტალია)
16. ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია)
17. ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი (ლიტვა)
18. მარია კური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტი (პოლონეთი)
19. დემოკრიტუსის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
20. ანჟერსის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
21. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
22. ხმელნიცკის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა)
23. ეროვნული კვლევების ინსტიტუტი (უკრაინა)
24. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
25. საგანმანათლებლო ქსელის ასოციაცია (ყირგიზეთი)
26. ლაიდენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)
27. ოსტფოლდის უნივერსიტეტის კოლეჯი (ნორვეგია)

➢ ***<u>ქართულ და უცხოენოვანი კორესპოდენციის წარმოება</u>***

➢ ***<u>საქმიანი შეხვედრების ინგლისურ და გერმანულენოვანი თარგმანი</u>***

➢ ***<u>გაცვლითი პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება</u>***

(საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებ–გვერდი, ფაკულტეტები, სტენდები)

- გავრცელებულია 550–ზე მეტი განცხადება სხვადასხვა კონკურსების, კონფერენციებისა და სემინარების შესახებ.

➢ *თსუ სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა, კონკურსების ორგანიზება*

1. ვარშავის უნივერსიტეტის კონკურსი (3 სამაგისტრო სტიპენდია)
2. ტარტუს უნივერსიტეტის კონკურსი (6 საბაკალავრო სტიპენდია)
3. ვილნიუსის უნივერსიტეტის კონკურსი (10 საბაკალავრო სტიპენდია)
4. ვიტაუტას მაგნიუს უნივერსიტეტის კონკურსი (3 საბაკალავრო სტიპენდია)
5. ლატვიის უნივერსიტეტის კონკურსი (3 საბაკალავრო სტიპენდია)
6. კადისის უნივერსიტეტი (1 საბაკალავრო სტიპენდია)
7. სალერნოს უნივერსიტეტის კონკურსი (5 საბაკალავრო და სამაგისტრო სტიპენდია)
8. ბრატისლავას უნივერსიტეტის კონკურსი (3 საბაკალავრო სტიპენდია)
9. ვიადრინას უნივერსიტეტის კონკურსი (1 საბაკალავრო სტიპენდია)
10. პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტი (3 საბაკალავრო სტიპენდია)
11. ნორვეგიის ოსტფორდის კოლეჯი (4 საბაკალავრო სტიპენდია)
12. ბრატისლავას უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის კონკურსი (3 სამაგისტრო სტიპენდია)
13. ეგვიპტის სამთავრობო სტიპენდიები (3 საბაკალავრო სტიპენდია)
14. ჩინეთის საელჩოს სამთავრობო სტიპენდიები
15. ფრიდრიჰ–შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის კონკურსი, გერმანია (3 საბაკალავრო სტიპენდია)
16. იუსტუს–ლიბიგის სახელობის გისენის უნივერსიტეტის კონკურსი, გერმანია (1 საბაკალავრო სტიპენდია)
17. პოცდამის უნივერსიტეტი (2 საბაკალავრო სტიპენდია)
18. ზაარლანდის უნივერსიტეტის კონკურსი, გერმანია (14 სტიპენდია: საბაკალავრო, სამაგისტრო, დოქტორანტურა, აკადემიური პერსონალი)
19. ანჟერის უნივერსიტეტი (საბაკალავრო სტიპენდია)
20. ათათურქის საზაფხული და ზამთრის სკოლა

➢ *გაცვლითი სტუდენტებისა და პროფესორების მიღება თსუ–ში*

1.	ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)	6 სტუდენტი
2.	სალერნოს უნივერსიტეტი (იტალია)	1 სტუდენტი
3.	პროექტ Erasmus Mundus–ის ფარგლებში	2 სტუდენტი
4.	ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა)	10 სტუდენტი
5.	ვიტაუტას მაგნიუს უნივერსიტეტი (ლიტვა)	2 სტუდენტი
6.	პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)	3 სტუდენტი
7.	კადისის უნივერსიტეტი (ესპანეთი)	1 სტუდენტი
8.	ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)	3 სტუდენტი

9.	თეირანის უნივერსიტეტი (ირანი)	3 სტუდენტი
10.	იენის ფრიდრიხ–შილერის სახ. უნივერსიტეტი	1 სტუდენტი
11.	პოცდამის უნივერსიტეტი	1 სტუდენტი
12.	ზაარლანდის უნივერსიტეტი	2 პროფესორი
13.	ბრატისლავას უნივერსიტეტი	1 სტუდენტი
14.	ბრატისლავას უნივერსიტეტი	1 პროფესორი

➢ ***<u>საპატიო დოქტორის ტიტულის მინიჭება</u>***

- პროფ. დრ. ალექსანდრე ტოლედო, პერუს 92-ე პრეზიდენტი, პერუს უნივერსიტეტის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის დირექტორი;
- პროფ. ჯოანა რეგულსკა, რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ.);
- პროფ. ს.ნილ მაკფარლეინი, ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);
- პროფ. სტივენ ჯონსი, მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯი (აშშ.);
- პროფ. დრ. ფრიდრიხ გლაზლი, ზალცბურგის უნივერსიტეტის ემერეტუსი პროფესორი (ავსტრია).
- პროფ. კლაუს დიკე, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის რექტორი (გერმანია)
- დოქტ. ისა აბდულაევი, დაღესტნის წადასას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელი.

➢ ***<u>საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები</u>***

- „ინტერნაციონალიზაცია ცენტრალურ აზიასა და ევროპის სამეზობლო სივრცეში“ - ევროკომისიის ტემპუსის ფარგლებში დაფინანსებული მრავალქვეყნიანი პროექტი;
- აშშ-ს განვითარების სააგენტოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ,,საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „ჯანდაცვის პოლიტიკის მოდულის დანერგვა თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კურიკულუმში და ჯანდაცვის პოლიტიკის სასერთიფიკატო კურსის შემუშავება“;
- პროექტი ,,ინგლისური ენის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, მარკეტინგისა და საბუღალტრო აღრიცხვის საგანმათლებლო პროგრამები მსჯავრდებულთათვის“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შორის 2009 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე;
- ,,უცხოელი პროფესორები თსუ-ში“;
- გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) ერთობლივი პროექტი ,,თსუ–ში მართვის უნარების გაუმჯობესება“ (N.O.A.H).

➢ ***<u>საგრანტო განაცხადების მომზადება</u>***

1. „კვლევის მანეჯმენტი თსუ-სა და ტალინის უნივერსიტეტში“ (პროექტის განაცხადი განიხილა უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციამ);
2. „სტუდენტთა მობილობა ბალტიის ზღვის რეგიონსა და კავკასიას შორის“- (პროექტის განაცხადს განიხილავს ფინეთის საერთაშორისო მობილობისა და კოოპერაციის სააგენტო (CIMO)).

➢ ***<u>საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება</u>***

- ევროკავშირის FP7 პროგრამის პროექტის EECAlink-ის რეგიონალური კონფერენცია (03.02. 11);
- პროექტ ერაზმუს მუნდუსის - Eramsus Mundus ECW lot 5/6- ბენეფიციარების რეგიონალური შეხვედრა (26.02.11);
- გერმანიის დღეები თსუ-ში (18-21.05.11);
- მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტისა და თსუ-ს ერთობლივი საზაფხულო სკოლა (6-16.09.11)
- თსუ -სა და იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის 45-ე წლის იუბილე (14.09.11);
- ევროკავშირის FP7 პროგრამის პროექტის EECAlink-ის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელთა ტრენინგი (21.09.11);
- ტრენინგი ,,კერძო მეწარმეობაში“ თსუ-ს სტუდენტებისათვის უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით (10.12.11)

➢ ***<u>საგანმანათლებლო ღონისძიებების კოორდინირება:</u>***

- ვეტოპედელი მამების საჯარო ლექცია (23.02.11);
- აშშ კოლუმბიის უნივერსიტეტის განათლების პოლიტიკის მიმართულების პროფესორის, ფრანცისკო რივერა-ბატისტას საჯარო ლექცია თსუ-ში (12.03.11);
- აშშ ვანდერბილტის უნივერსიტეტის საერთაშორისო განთლების პოლიტიკის მიმართულების პროფესორის, სტეფან ჰეინემანის საჯარო ლექციების ციკლი თსუ-ში (12-15.03.11);
- ინჰოლანდის უნივერსიტეტის პროფესორის, ტერკ ბუსტრას საჯარო ლექცია (20.04.11);
- კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებრივ საქმეთა სკოლის პროფესორის ჯოან ბეინის სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი თსუ-ს პროფესორებთან (13.05.11);
- ლუდვიგ-მაქსიმელიანის სახელობის მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორების, იაუხისა და შტიგლერის საჯარო ლექციები (21.04.11);
- აზერბაიჯანელი სტუდენტების გამოფენა (25.05.11);
- ტალინის უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ტიტ ლენდის საჯარო ლექცია (24.10.11);
- ეკონომიკური განვითარების სიმპოზიუმი აშშ-ს პენსილვანიის სენატის საზოგადოების, ეკონომიკისა და რეკრეაციული განვითარების კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორის, ქ-ნ ქეთრინ ვოშბორნისა და პენსილვანიის წარმომადგენელთა პალატის პოლიტიკის მრჩევლის ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების საკითხებში, ბ-ნი დევიდ ვოშბორნის მონაწილეობით. (11-13.11.11)

➢ ***<u>დელეგაციების მიღება თსუ–ში</u>***

- ევროკომისიის წარმომადგენლის ჯან პიეტრო ვან დე გორის ვიზიტი EECAlink-ის რეგიონალური კონფერენციის ფარგლებში (03.02.11);
- განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) დელეგაციის ვიზიტი (09.02.11);
- ვეტოპედელი მამების ვიზიტი (23.02.11);
- გისენის უნივერსიტეტის პროფესორი დიტმანის ვიზიტი;
- ფინეთის მკვლევართა ჯგუფის ვიზიტი;
- მაასტრიხტის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (21.04.11)
- აზერბაიჯანის საელჩოს მიერ ინიცირებული ფილმის ჩვენება და კონფერენცია თემაზე: „თავისუფლების საფასური“(21.04.11);
- იაპონიის კვლევითი ცენტრის დელეგაციის ვიზიტი (10.05.11);
- ლეიდენის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (25-29.05 11);
- ლევილის დელეგაციის ვიზიტი (25.05.11);
- ერფურტის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (16.06.11);
- მასარიკის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (06.09.11);
- იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (12-16.09.11);
- ,,გრანტ გარანტის“ (ჩეხეთი) წარმომადგენლის კაროლინა რიპოვას ვიზიტი (21.09.11);
- რეიმსის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (03.10.11);
- კიოლნის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (13.10.11);
- პერუს დელეგაციის ვიზიტი (15.10.11);
- ტალინის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (24.10.11);
- HESP OSI-ის დელეგაციის ვიზიტი (15.11.11);
- მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორი ბლუმის ვიზიტი (26.11.11);
- N.O.A.H - ს ექსპერტების შემაჯამებელი ვიზიტი თსუ -ში (04.12.11);
- გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორის, ზომერმანის ვიზიტი (05.12.11);
- იულიხის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (6-7.12.11);
- ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორის, ული კაცმაიერის ვიზიტი (09.12.11);
- ტალინის განვითარების კორპორაციის დელეგაციის ვიზიტი (9-11.12.11).

➢ *ელექტრონული სწავლება*

➢ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების მიზანია თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმატებული ინტეგრაცია სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, ელექტრონული სწავლების დანერგვა, განვითარება და ხელშეწყობა, პროცესების მართვა და კოორდინაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა ამ მიმართულებებით.

➢ ელექტრონული სწავლების საშუალებით ხდება ვირტუალური სასწავლო გარემოს ფორმირება, რაც სტუდენტსა და პროფესორს შორის სწავლა/სწავლების პროცესში არსებული საჭიროებების მიზნობრივი დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებას იძლევა. ასევე, ელექტრონული სწავლების განვითარების ფარგლებში შეიქმნა საუნივერსიტეტო არჩევითი კურსი “ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა” (დოქტორანტურა), რომლის მიზანია:

- უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
- ელექტრონული კურსების შექმნა
- დოქტორანტებისთვის თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სწავლების საშუალებების გაცნობა
- ელექტრონული სწავლების განვითარების ამოცანები
- საერთაშორისო ფონდებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა
- ელექტრონული სწავლების ფუნქციონირების მოდელის შექმნა
- ელექტრონული სწავლების დანერგვა/განვითარების კოორდინაცია
- საერთაშორისო ერთობლივი ელექტრონული და დისტანციური სასწავლო პროგრამების განვითარება/შემუშავების კოორდინაცია
- ელექტრონული სწავლების შესაბამისი სტანდარტების და შეფასების ინდიკატორების შემუშავება (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად)
- ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიის განვითარება
- ელექტრონული სწავლების კვლევების განვითარება

➢ ელექტრონული სწავლების კოორდინატორის ფუნქციები (ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით):

- ელექტრონული სწავლების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება/მოწყობას, ელექტრონული სწავლების პოპულარიზაცია;
- სისტემატური ტრენინგების და ვორკშოფების ორგანიზება ფაკულტეტების აკადემიური პერსონალისთვის
- ელექტრონული კურსების ინსტრუქციული დიზაინის შემუშავება
- ელექტრონული კურსების შემუშავებაში აკადემიური პერსონალის მეთოდოლოგიურ
- კონსულტირება
- ელექტრონული სწავლების საფაკულტეტო ქსელის ფორმირების ხელშეწყობა
- ელექტრონული სწავლების პორტალის მხარდაჭერასა და პოპულარიზაცია
- ელექტრონული სწავლების კურსების მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა
- სტუდენტების კონსულტირება ელექტრონული სწავლების საკითხებზე
- ელექტრონული რესურსების გამოყენების გზამკვლევების, ინსტრუქციების შექმნა/გამოქვეყნება ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ტრენინგების მხარდამჭერი ელექტრონული კურსების შექმნა და გამოყენება)
- თანამშრომლობა უნივერსიტეტის შესაბამის ერთეულებთან წლიური ანგარიში

➢ 2011 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სისტემატიური ინდივიდუალური კონსულტაციები, ფუნქციონირებდა ელექტრონული სწავლების პორტალი (www.elearning.tsu.edu.ge), სადაც მუდმივად ხდებოდა ახალი ელექტრონული კურსების შექმნა და მათი საშუალებით სწავლება.

➢ ელექტრონული სწავლების განვითარების აქტივობები:

1. იანვარ-თებერვალში ჩატარდა ტრენინგი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტისთვის, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ახალი ელექტრონული კურსები;
2. დაიგეგმა და ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო კონფერენცია ელექტრონული სწავლების საკითხებზე.

- კონფერენციის მიზნები:
    - ელექტრონული სწავლების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება
    - ახალი ელექტრონული სასწავლო კურსების პრეზენტაცია
    - აუდიტორიებსა და ვირტუალურ გარემოში არსებული სასწავლო პრაქტიკის გაზიარება კონფერენციის მასალები გამოქვეყნებულია ელექტრონული სწავლების ვებგვერდზე(http://elearning.tsu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=28&Itemid=36&lang=en)

3. ამა წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს არჩევითი კურსი "ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა. კურსზე დარეგისტრირებულია 76 დოქტორანტი. კურსის ფარგლებში იგეგმება პროექტი, რომელიც დოქტორანტის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ელექტრონული სწავლების კოორდინატორის კოლაბორაციის საფუძველზე შეიქმნება ახალი ელექტრონული კურსი (ვირტუალური სასწავლო გარემო).

4. ოქტომბერში ასევე ჩატარდა ორდღიანი სემინარი ელექტრონული სწავლების შესახებ (აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ორგანიზებითა და ტალინის უნივერსიტეტის მონაწილეობით), რომლის შინაარსი დაიგეგმა ელექტრონული სწავლების კოორდინატორთან ერთად და მონაწილეობა მივიღე, როგორც სემინარის მომხსენებელმა შემდეგ თემებზე:

- ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები და მხარდაჭერა თსუ–ში; მოკლე შესავალი.
- ელექტრონული კურსის მასალების შექმნისა და გაზიარებისათვის საჭირო საშუალებები: რამდენიმე წარმატებული ელექტრონული კურსისა და სასწავლო მასალების საპრეზენტაციო ჩვენება ვებ–ზე და Moodle-ის პროგრამაში.

5. 2011 წლის დეკემბერში მიმდინარეობს ტრენინგები ელექტრონული სწავლების სფეროში შემდეგ თემებზე (ტრენინგს ატარებს ელექტრონული სწავლების კოორდინატორი):

- ელექტრონული სწავლება
- ელექტრონული კურსის აგების პრინციპები და ვირტუალური სასწავლო გარემოს შექმნა ელექტრონული სწავლების კოორდინატორის წლიური ანგარიში (2011 წ.)
- ელექტრონული რესურსები, ვებ 2.0.
- სტუდენტებთან ურთიერთობა ვირტუალურ გარემოშიაღნიშნული ტრენინგების საფუძველზე შეიქმნება ახალი ელექტრონული კურსები.
- ტრენინგებზე დარეგისტრირდა 22 პროფესორი სხვადასხვა ფაკულტეტებიდან. მივლინებები:

6. 13-15 სექტემბერს დავესწარი ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ სემინარს თემაზე "ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ინტერკულტურული საკომუნიკაციო უნარების გასაუმჯობესებლად", სადაც სემინარის მონაწილეები აფხაზურ მხარეს შევხვდით. სემინარის ფარგლებში აფხაზური მხარე უკეთ გაეცნო საქართველოს განათლების სფეროში, კერძოდ კი, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით არსებულ რეფორმებს და ქართული მხარისთვის კი, აფხაზი დელეგატებისგან უშუალო მონათხრობით აფხაზეთში არსებული რეალობა უფრო ნათელი გახდა.

7. 2011 წლის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით ასევე ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ სემინარში მივიღე მონაწილეობა თემაზე "ელექტრონული სწავლების გამოყენება არაფორმალური განათლების აქტივობებში: არსებული გამოცდილება". სემინარის მიზანი იყო მონაწილეების აქტიური ჩართულობით შექმნილიყო არაფორმალურ განათლებაში ელექტრონული სწავლების გამოყენების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზნები და ინდიკატორები, სადაც ელექტრონული სწავლების სფეროში თსუ-ს გამოცდილება ყურადსაღები და საინტერესო აღმოჩნდა.

პროექტები:

1. ტემპუსის საგრანტო კონკურსის ფარგლებში მზადდება განაცხადი ახალი სამაგისტრო პროგრამის "საგანმანათლებლო ტექნოლოგიების" შესაქმნელად. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის უნივერსიტეტები და ევროპელი პარტნიორები:

- ტალინის უნივერსიტეტი (University of Tallinn)
- ტვენტეს უნივერსიტეტი (University of Twente)
- დანდის უნივერსიტეტი (University of Dundee)

2. ასევე, მზადდება განაცხადი ტემპუსის გრანტის მოსაპოვებლად ახალი სამაგისტრო პროგრამისთვის "ციფრული ჰუმანიტარია" (Digital Humanities) ქართული და ევროპული უნივერსიტეტების მონაწილეობით.

3. მიმდინარეობს საგრანტო განაცხადის მომზადება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის მიერ - ვირტუალური მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის.

➢ პროექტი (Virtual Microbiology Lab Project), Westminster-ის და University of L'Aquila-სთანერთად, სადაც ელექტრონული სწავლების განვითარებისთვის საინტერესო შესაძლებლობები არსებობს და ელექტრონული სწავლების მიმართულებით თანამშრომლობა მიმდინარეობს.

XIV.მუზეუმი

➢ 2011 წელს თსუ მუზეუმი აგრძელებდა მუშაობას სამუზეუმო საქმიანობის ყველა მიმართულებით.

I. საფონდო მუშაობა:

1. სამუზეუმო კანონმდებლობის შესაბამისად, მუზეუმში შემოსული ყველა მასალა სათანადო აღრიცხვასა და მათ კუთვნილ ადგილზე განთავსებას ექვემდებარება. ეს მასალებია: ხელნაწერი, ნაბეჭდი ლიტერატურა, უნივერსიტეტისათვის საიუბილეოდ, საჩუქრად გადმოცემული ნივთები და სხვა. ძირითად საინვენტარო (შემოსულობათა) წიგნში 6548-6778 ნომრით აღირიცხა თსუ ისტორიისა და გეოგრაფიის ექსპონატები; ამ მასალებიდან გამოირჩევა აკადემიკოსების, ალექსანდრე ჯავახიშვილისა და გიორგი ახვლედიანის ხელნაწერები.

2. ახალგარემონტებულ ზოოლოგიის დარბაზში გადატანილ იქნა შესაბამისი ექსპონატები და ისინი ახალშეძენილ კარადებში განთავსდა.

II. საგანმანათლებლო მუშაობა:

1. თსუ-ში 25 თებერვალს მოეწყო საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული სამხედრო ოკუპაციის ამსახველი ფოტო-გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა კოჯორ-ტაბახმელას

მიდამოებში წარმოებული ბრძოლების ამსახველი ფოტოები, ასევე იმ რეპრესიების ამსახველი მასალები, რომლებიც უნივერსიტეტის წინააღმდეგ განხორციელდა.

2. 2011 წლის 8 აპრილს გაიმართა უნივერსიტეტის პირველი სტუდენტებისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილ იქნა თსუ-ში ჩარიცხული პირველი სტუდენტების ფოტო და საარქივო მასალა.

3. მომზადდა თსუ I კორპუსის დროებითი საგამოფენო დარბაზის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც "ქართუ-ჯგუფის" მიერ დამზადდა შესაბამისი ვიტრინები და სტენდები.

4. მომზადდა თსუ I კორპუსის გუმბათქვეშა სივრცის ზედა იარუსზე არქეოლოგიის გამოფენის კონცეფცია და შესაბამისი ესკიზები, რომლებიც შესასრულებლად "ქართუ-ჯგუფს" გადაეცა.

5. თბილისის სხვადასხვა არქივსა და მუზეუმში შეგროვდა გუმბათქვეშა სივრცის ქვედა იარუსზე დაგეგმილი გამოფენისათვის საჭირო მასალა. ეს სამუშაო კვლავაც მიმდინარეობს და მისი დასრულება მიმდინარე წლისათვის იგეგმება.

6. თსუ მუზეუმის ემიგრაციისა და ზოოლოგიის ქვედანაყოფებში გრძელდება სტუდენტთა და მოსწავლეთა მიღება და მათ სათანადო, საინტერესო საუბრები უტარდებათ.

XV.მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

2011 წლის განმავლობაში:

- დეპარტამენტის მიერ სისტემატურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სასწავლო კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ექსპლუატაციის განყოფილების თანამშრომლების მიერ მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა, ასევე შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება.
- ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შესრულდა შემდეგი სარემონტო სამუშაოები:

- გარემონტდა და შეიცვალა სახურავი (ბრტყელი გადახურვა) 15000 კვ.მ.
- შეიცვალა ძველი თუნუქის სახურავი ახლით 2000 კვ.მ.
- თსუ-ს მე-6 და მაღლივი კორპუსის სპორტ დარბაზში დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა.
- თსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.
- თსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში გარემონტდა აუდიტორიები, კაბინეტები.
- რესტავრაცია ჩაუტარდა ძველი სამუზეუმო ინვენტარს.
- გარემონტდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა ზოოლოგიის მუზეუმი.

ექსპლუატაციის განყოფილების თანამშრომლების მიერ 2011 სასწავლო წლის მანძილზე შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- შეიცვალა 500-მდე ონკანი,
- შეიცვალა 50 ცალი ხელსაბანი,

- მოხდა წყლის და საკანალიზაციო მილების გაყვანა 800 გრძ/მ.
- გაიწმინდა საკანალიზაციო მილები - 350 გრძ/მ,
- გაიწმინდა სხვადასხვა სიღრმის საკანალიზაციო ჭა - 25 ცალი.
- შეიცვალა სხვადასხვა დიამეტრის ურდულები - 30 ცალი.
- შეიცვალა საკეტები - 400 ცალი.
- გამოიცვალა მინა - 300 კვ.მ.
- დაიგო პარკეტი - 80 კვ.მ.
- მოიხვეწა იატაკი - 400 კვ.მ.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასწავლო მერხებს, სკამებს, კარადებს - 1000 ცალი.
- დამზადდა და დამონტაჟდა ბანერები (სხვადასხვა ზომის) - 25 ცალი.
- შეიღება კედლები - 300 მ/2.
- ბიბლიოთეკის კორპუში აღდგა საცავები სადაც დამონტაჟდა 700 ცალი სანათი.
- გამოიცვალა 100 ცალი სანათი.
- შეიცვალა 3000 ცალი ნათურა.
- ასევე შეიცვალა და დამონტაჟდა დამატებითი ჩამრთველები, ავტომატები, როზეტები 1500 ცალი.
- გაყვანილი იქნა დამატებითი ელექტრო ხაზები (სხვადასხვა კვეთის) 3000 გრ/მ.
- შეკეთდა და შეიცვალა დაზიანებული სატელეფონო ხაზები და ტელეფონების აპარატები.
- ზედამხედველობას ვუწევდით თსუ-ს კორპუსებში არსებულ ლიფტებს.
- 2011 წლის განმავლობაში სრულდებოდა კომუნალური გადასახადების აღმრიცხველი დოკუმენტაციის მომზადება და ხორციელდებოდა ხარჯის ოდენობის კონტროლი. ექსპლუატაციის განყოფილების თანამშრომლების ყოველდღიური მეთვალყურეობის და საჭირო სამუშაოების ჩატარების შედეგად შენარჩუნდა 2010 წლის მდგომარეობით არსებული წყლის ხარჯი, რომელიც წინა წელთან შედარებით იყო 95000 ლარით ნაკლები.

გამონთავისუფლდა რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიის ელექტროქიმიის ინსტიტუტის III და IV სართული (არსებული ინვენტარი გადანაწილდა იმავე შენობაში) განთავისუფლებულ ფართში გადატანილი იქნა კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ინვენტარი, ტექნიკა და დანადგარ-მოწყობილობები.

- გამონთავისუფლდა ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის I, III, და VI სართულები. არსებული ინვენტარი გადანაწილდა შენობის სხვადასხვა სართულებზე.
- მიმდინარე სარემონტო სამუსაოების ჩატარების მიზნით გამონთავისუფლდა მაღლივი კორპუსის III, X, XI სართულები, გამონთავისუფლებული ინვენტარი დასაწყობდა კორპუსის სხვადასხვა სართულებზე.
- დაიცალა ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის I, II და IV სართულები, სადაც მიღება-ჩაბარების აქტით ინვენტარი გადანაწილდა ბიბლიოთეკის და მაღლივი კორპუსის III სართულზე, მათთვის საჭირო ინვენტარის ნაწილი ფიზიკის ინსტიტუტში, ხოლო 100150 ცალი წიგნი დაკომპლექტდა ქაღალდის 1236 ყუთში, დაილუქა და დასაწყობდა მათემატიკის ინსტიტუტის თავისუფალ სათავსოებში.
- დაიცალა მიხეილ ნოდიას სახელობის გეოიფიზიკის ინსტიტუტის IX, X და XI სართულები, ინსტიტუტიდან გატანილია სამშენებლო ნარჩენები. შენობაში დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფების ინსტიტუტის გადმოსვლის პროცესი.

ინსტიტუტის ინვენტარის ნაწილი დასაწყობდა ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ დარბაზში.

- ახალ სასწავლო წელს შეივსო და გადაადგილდა მერხები II, V, VI და VIII კორპუსებში, ახალი ორადგილიანი მერხები განთავსდა მაღლივი კორპუსის გარემონტებულ სართულებზე.
- კორპუსებიდან გამონთავისუფლებული მეორადი მერხები გადატანილი იქნა ქ.რუსთავის და თელეთის კორპუსებში.
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ჯართის გატანასა და უვარგისი სამშენებლო ხის გადანაწილებაზე, ჯართი დასაწყობდა მაღალი ენერგიის ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე.

2011 წელს სამეურნეო დანიშნულებით შესყიდულია:

- სპეცტანსაცმელი, სანიტარული საშუალებები, თხევადი საპონი, ტუალეტის ქაღალდის და თხევადი საპნის დისპენსერები და დამონტაჟდა კორპუსებში. ტუალეტისა და ხელსახოცი ქაღალდები.
- გაზაფხულსა და შემოდგომის პერიოდში უნივერსიტეტის კორპუსებში ჩატარდა დეზინფექცია, დეზინსექცია დერატიზაცია, რისთვისაც დაიხარჯა 5000 ლარი.
- კეთილმოეწყო ე.წ ბიოლოგების კორპუსის მინაშენში არსებული ბაღი. დაიდგა ბაღის გრძელი სკამები 5 ცალი და ასევე III კორპუსის ეზოში 5 ცალი.
- უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში მოიჭრა ავარიული ხე 10 ცალი, ხოლო მაღლივი კორპუსის ეზოში 2 ცალი, მოჭრილი ხეების ლოკალიზაციის ადგილიდან გატანა უზრუნველყო ქ. თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურმა. ფორმირება ჩაუტარდა, გაისხლა და ზედმეტი ნარგავებისაგან განთავისუფლდა მაღლივი კორპუსის უკან არსებული ბაღი და ვეკუას სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორია. ჩატარდა მწვანე საფარის მოსაწესრიგებელი სამეურნეო სამუშაოები ბიოლოგების, მაღლივი კორპუსის და ლაბორატორიის წინ არსებულ ტერიტორიებზე და ბაღში, ასევე უვარგისი ნარგავებისაგან განთავისუფლდა V კორპუსის გვერდით არსებული ტერიტორია. რეგულარულად ხდება I კორპუსის პანთეონის და ძეგლების დასუფთავება.
- საწყობი უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგებას საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარით და ხდებოდა მათი განაწილება დადგენილი წესის მიხედვით.
- ხორციელდებოდა სისტემატიური კონტროლი სასაწყობო მეურნეობაზე, მატერიალურ ფასეულობების მარაგზე და ამოწურვის შემთხვევაში დროული რეაგირება.
- ხდებოდა მიღებული და გაცემული საქონლის ელექტრონული და დოკუმენტალური აღრიცხვა და დამუშავებული დოკუმენტაციის ბუღალტერიისთვის გადაცემა.
- 2011 წელს შემოერთებული ინსტიტუტებიდან 11 ინსტიტუტს გააჩნდა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ 91 ერთეული ავტომანქანა. აღნიშნული ავტომანქანებიდან, მუშა მდგომარეობაშია 30 ავტომანქანა. ინსტიტუტების შემოერთებამდე თსუ–ს ავტოფარეხში ირიცხებოდა, მუშა მდგომარეობაში მყოფი 14 ავტომანქანა, მათ შორის სატვირთო მანქანები. საერთო ჯამმა შეადგინა - 44 გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალება. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მწყობრიდან გამოსული გამოუდეგარი ავტომანქანების ჩამოწერის პროცესი.

უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული ა/მანქანები გამოყენებული იქნა შემდეგ სამუშაოებზე:

- არქეოლოგიური სამუშაოებისას არქეოლოგების ტრანსპორტირება საქართველოს მაშტაბით.
- სტუდენტური ექსკურსიები საქართველოს მაშტაბით.
- მოწვეული უცხოელი პროფესორების და სტუდენტების დახვედრა აეროპორტში მათი ექსკურსიები ქალაქსა თუ ქალაქს გარეთ და მათი უკან გაცილება.
- თსუ ს სპორტსმენების გადაადგილება სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად საქართველოს მაშტაბით.
- თსუ ს ქალთა ანსამბლ გორდელას წევრების და მათი საკრავი ინსტრუმენტების გადაადგილება საქართველოს მასშტაბით კულტურული ღონისძიებებისას.
- თსუ ს ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტის მომსახურება, გადაადგილება და ტვირთის გადატანა.
- ექსპერტთა ჯგუფის გადაადგილება შემოერთებული ინსტიტუტების ინსპექტირების ჩასატარებლად საქართველოს მაშტაბით.
- ფაკულტეტების სტუდენტური ექსკურსიების მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოს მაშტაბით.
- სტუდენტური თვითმართველობის ღონისძიებების ჩატარების დროს სტუდენტების გადაადგილება და მოთხოვნილი ტვირთების ტრანსპორტირება.
- მოთხოვნისამებრ დამლაგებლების უნივერსიტეტის კორპუსებში გადაყვანა და საწმენდი საშუალებების გადატანა ასევე მუშებისა და სანტექნიკების გადაადგილება უნივერსიტეტის კორპუსებში საჭირო მასალების გადატანით.
- უნივერსიტეტს სარგებლობიდან ჩამოერთვა სტუდქალაქის მე-3 კორპუსი, ამის გამო კორპუსი დაიცალა, ინვენტარი გადანაწილდა I და II კორპუსში, ხოლო 15-მდე თანამშრომელი და 30-მდე სტუდენტი გადმოყვანილ იქნა I და II კორპუსში და შესაბამისად მათთვის კეთილმოწყობილ იქნა საცხოვრებელი ოთახები.
- სტუდქალაქის ადმინისტრაცია III კორპუსიდან გადმოვიდა II კორპუსში და სამ სამუშაო ოთახს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაო (გადაიტიხრა ოთახები, დაიგო პარკეტი).
- სტუდქალაქის II კორპუსის დერეფნებში შეიცვალა ძალოვანი ელექტრო სადენები (საერთო სიგრძით 150მ) და ჩატარდა მასთან დაკავშირებული ელ. სამუშაოები.
- ტერიტორიაზე დაირგო 30-მდე ძირი სხვადასხვა ხის ნერგი.
- 70-მდე ოთახში დამონტაჟდა ახალი შიდა ელექტრო გაყვანილობა.
- I კორპუსში გამოიცვალა ძალოვანი კარადა.
- სტუდქალაქის I და II კორპუსებში შეკეთდა/განახლდა სველი წერტილები და აბანოები, აღდგენილ იქნა საკანალიზაციო და წყლის სისტემები. შეიცვალა 10 წყლის და საკანალიზაციო დგარი.
- კორპუსებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ორჯერ ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. ტერიტორიაზე გაიკაფა ეკალ-ბარდები, გაიწმინდა ბალახისგან და მოწესრიგდა მიმდებარე ტერიტორია.
- კორპუსებში გადაიტიხრა საერთო სარგებლობის ფართები და გადაკეთდა საცხოვრებელ ოთახებად, რამაც დამატებით მოგვცა 10 საცხოვრებელი ადგილი. ასევე ოთხი სველი წერტილი ე.წ. სამზარეულოები გადაკეთდა საცხოვრებელ ოთახებად, რამაც დამატებით შექმნა 20-მდე ადგილი.
- საერთო საცხოვრებლის სტუდენტთათვის მოეწყო ორი ექსკურსია მცხეთაში და ქ.სიღნაღში.

XVI. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტი

- თსუ-ს მასშტაბით, ხდებოდა მწყობრიდან გამოსული კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების და ქსელური აპარატურის ტექნიკური რემონტი, აღდგენა და არსებული მარაგების მიხედვით კომპიუტერების გაძლიერება, დაზიანებული სიტემების განახლება, ვირუსებისა და სხვა სახის არასასურველი პროგრამებისგან გაწმენდა, სისტემების ოპტიმიზირება.
- სისტემატური ტექნიკური დახმარება ეწეოდა თსუ-ს ბაზაზე არსებულ სტუნდენტთა რესურსეცენტრებს, რიგ რესურსცენტრებში მთლიანად განახლდა უწყვეტი კვების წყაროს მოწყობილობები.
- თსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში და სტრუქტურულ ერთეულებში დამონტაჟდა და გაიმართა ახალი კომპიუტერული ტექნიკა, მათი ინტერნეტში ჩართვა განხორციელდა უკაბელო ინტერნეტის აპარატურით, ნაწილი კაბელური ქსელით.
- თსუ-ს შემოერთებული ინტსიტუტების და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა მიგრაციის შესაბამისად ხდებოდა მათი კომპიუტერული მომსახურება და ზოგადსაუნივერსიტეტო ქსელში გაერთიანება.
- ხორციელდებოდა მონიტორინგი ტენდერით მოთხოვნილ და მიღებულ საქონელზე, მათ ხარისხზე, მოწოდების ვადებზე და რაოდენობებზე, ხდებოდა ტენდერით მიღებულ წუნდებულ კომპიუტერული ტექნიკაზე კონტროლი და მომწოდებელი კომპიუტერული ფირმები ასრულებდნენ თავიანთ საგარანტიო ვალდებულებებს რათა ისინი შეეცვალათ ახლით ან მოეხდინათ მათი დროული და ხარისხიანი შეკეთება.
- თსუ სტრუქტურული ერთეულებისათვის დგებოდა ექსპერტიზის აქტი ჩამოსაწერ კომპიუტერულ ტექნიკაზე. სისტემატიურად მიეწოდებოდა საფინანსო დეპარტამენტს ინფორმაციას მუშა და ჩამოსაწერი კომპიუტერული ტექნიკის შესახებ.
- თსუ I კორპუსში მომზადდა სასერვერო ოთახი სერვერებისა და ქსელური მოწყობილობების დასამონტაჟებლად, დამონტაჟდა და გაიმართა ახალი მძლავრი სერვერი, რომელმაც შეითავსა სხვა შედარებით სუსტი სერვერების დატვირთვა.
- განხორციელდა რამოდენიმე ვიდეო კონფერენცია საზღვარგარეთ მყოფ პარტნიორ უნივერსიტეტებთან.
- დისტანციური სწავლების კუთხით მოხდა ათეულობით ელექტრონული კურსის დამატება მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში, ამავე სისტემაში შემუშავდა სტუდენტთა ტესტირების შესაბამისი საპილოტო მოდული თსუ ენების ცენტრისათვის.
- გადაღებული და დამონტაჟებული იქნა ორი ვიდეო კურსი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოთხოვნით (თსუ-სა და სასჯელაღსულების დეპარტამენტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში). აგრეთვე ორი ვიდეო კურსი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის.
- ვახორციელებდით საჯარო ლექციების ინტერნეტით ვიდეო ტრანსლიაციას Live რეჟიმში საქართველოს რეგიონების სასწავლო დაწესებულებებისათვის.
- მონაწილეობას ვიღებდით კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მიზნით თსუ-ს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებისა და საექსპერტო შეფასებების შედგენაში, ვახდენდით შეძენილი კომპიუტერული ტექნიკის ინსპექტირებას ასევე აკრედიტაციის ფარგელბში მონაწილეობას ვიღებდით ინვენტარიზაციის პროცესებში, ამ მიზნით მოხდა ცენტრალურ ადმინისტრაციასა და ფაკულტეტებზე არსებული კომპიუტერული ტექნიკის აღწერა გადათვლა და კლასიფიცირება.

- თსუ ვებ სერვერზე განთავსდა რამოდენიმე ინსტიტუტის ვებ გვერდი და მათი თანამშრომლებისათვის მოხდა ელექტრონული ფოსტის გახსნა და ძველი მონაცემების კონვერტაციები.
- გაიმართა და დაკონფიგურირდა რიგი ინტერნეტ სერვისებისა, მონაცემთა დაშვების და ფილტრაციის სერვერი, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სერვისი.
- გაგრძელდა მუშაობა სასწავლო პროცესის მართვის სისტემა NOAH-ს დანერგვისთვის. მიმდინარე სისტემების მონაცემთა ბაზები კონვერტირებულ იქნა ახალი სისტემის მონაცემთა ბაზის სერვერზე.
- მომზადდა ქსელური ინფრასტრუქტურის გარემო თსუ I კორპუსში თანამშრომელთა დაბრუნებისათვის და ინტერნეტის მომწოდებელ პროვაიდერთან კავშირისათვის გაკეთდა ახალი 1 გბ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ლინკი ადრე არსებული 100 მბ-ის ნაცვლად.
- გაგრძელდა სასწავლო პრეცესის მართვის ახალი სისტემის (NOAH) ტესტირება და თსუ-ს საჭიროებისამებრ მორგება, შემუშავდა დოკუმენტაცია სერვერის გასამართად და არსებულ მონაცემთა ბაზასთან სამუშაოდ.
- „ორისის“ გარემოში დამუშავდა სტუდენტის სტატუსის განსაზღვრის შუალედური ინტერფეისი (მის მიერ უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიხედვით), რომლითაც მომავალში სასწავლო პროცესის მართვის ახალმა სისტემამ უნდა ისარგებლოს და დამუშავდა უსაფრთხოების მართვის ახალი პოლიტიკა.
- მოხდა „ორისის“ სისტემის და არსებული საფინანსო მონაცემთა ბაზის გაერთიანება.
- დაიხვეწა და გაუმჯობესდა არსებული მონაცემთა ბაზების ფუნქციონალი და ვიზუალური მხარე.
- განახლდა თსუ ვებ გვერდის მესამე ვერსიაზე მუშაობა და მასთან ერთად დავიწყეთ თანმდევი ვებგვერდების სტრუქტურის და კონფიგურაციების ტექნიკური დეტალების შემუშავება.
- მოხდა ერთი თანამშრომლის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რომელსაც დაევალება თსუ-ში მიმდინარე პროექტების პროგრამული მხარდაჭერა.
- უნივერსიტეტის 4 ფაკულტეტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სასწავლო პროცესის მართვის ახალი სისტემის ცალკეულ მოდულებში.
- უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს ვუწევდით კონსულტაციებს კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხებზე.

XVII. გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის” რედაქცია

- 2011 წლის მანძილზე გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის” რედაქციის მიერ მომზადდა გაზეთის 16 ნომერი (24 გვერდიანი 1 ნომერი; 20 გვერდიანი - 1 ნომერი; 16 გვერდიანი - 7 ნომერი; 12 გვერდიანი - 6 ნომერი; 8 გვერდიანი - 1 ნომერი), რომლის გავრცელებაც (ტირაჟი - 800 ც.) უზრუნველვყავით უნივერსიტეტის მასშტაბით.
- გაზეთის თითოეული ნომრის დაგეგმვა განხორციელდა 2011 წლისთვის შემუშავებული გაზეთის კონცეფციის შესაბამისად.
- 2011 წლის განმავლობაში 3-ჯერ შეიკრიბა გაზეთის რედკოლეგია, რომლის წევრებმაც იმსჯელეს გაზეთის სტრატეგიასა და პრიორიტეტებზე.

მომზადდა:

- ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპეც-ნომერი;
- საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სპეც-ნომერი;

- დიმიტრი უზნაძის 125 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპეც-ნომერი;

გარდა ამისა, 2011 წელს გამოცემული გაზეთის ნომრებში გაშუქდა:

- ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპეც-ნომერი;
- უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და ღონისძიებების (კონფერენციების, იუბილეების, ბრიფინგების, პრეზენტაციების, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალების და ა.შ.) შესახებ ინფორმაციები;
- უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებები და მათი საქმიანობა;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტები;
- თსუ-ის ფაკულტეტების საქმიანობა და ინიციატივები;
- უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები;
- ახალი სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციები;
- სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაცია და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტები;
- უნივერსიტეტისთვის შემოერთებული ინსტიტუტების თვითდამკვიდრების პროცესი და მათი საქმიანობა;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები;
- პროფესორთა, მეცნიერ-მკვლევართა, წარმატებულ დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და ბაკალავრთა პოპულარიზაციის მიზნით მათ შესახებ ინფორმაციები (ინტერვიუს სახით);
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რაც ხელს უწყობს მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესს;
- საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციები;
- უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და დამოუკიდებელ სტუდენტთა საქმიანობა, მათი ინიციატივები და ღონისძიებები;
- სტუდენტური პროექტები;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალის ამსახველი ინფორმაციები;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურული და სპორტული მიღწევები.

XVIII.დაცვის და უსაფრთხოების სამსახური

- 2011 წლის მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა თსუ დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის განვითარებისათვის შემდგომი მიმართულებებით:

1. ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების კუთხით;
2. ტექნიკური დაცვის საშუალებების დანერგვის კუთხით;
3. სახანძრო უსაფრთხოების არსებული საშუალებების გაუმჯობესებისა და თსუ-ს შენობების სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში მოყვანის კუთხით.

- პირადი შემადგენლობის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით რეგულარულად ტარდება შესაბამისი სწავლებები, ხდება განმარტებების მიცემა თსუ-ს ობიექტების დაცვის სპეციფიკის, მოვალეობათა განუხრელად შესრულების და დისციპლინის ამაღლების

კუთხით. დაკისრებული მოვალეობის შესრულების ხარისხის შესაბამისად ხდება დაცვის თანამშრომელთა მიმართ როგორც წამახალისებელი, ასევე დისციპლინარული ზომების გამოყენება. 2011 წელს მოვალეობათა არასათანადო შესრულების გამო არაერთ დაცვის თანამშრომელს დაეკისრა დისციპლინარული სანქცია. მუდმივად ხდება დაცვის თანამშრომელთა გეგმიური როტაცია თსუ ობიექტებზე რაც ხელს უწყობს დაცვის თანამშრომელთა პროფესიულ სრულყოფას, სხვადასხვა ობიექტის დაცვის სპეციფიკის უკეთ ათვისებას, დაცვის თანამშრომელთა დაახლოებას, სამსახურის ერთიან სტრუქტურად აღქმის ჩამოყალიბებას. დაცვის თანამშრომელთა გეგმიური როტაცია ასევე ხელს უშლის კონტროლის ფუნქციების მოდუნებას, რაც ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტია.

- 2011 წელს კიდევ უფრო განვითარდა თსუ-ს ტექნიკური დაცვის შესაძლებლობები. გაიზარდა როგორც ვიდოესამეთვალყურეო ისე სასიგნალიზაციო მოწყობილეობებით აღჭურველ ობიექტთა რიცხვი. აღსანიშნავია, რომ ტექნიკური დაცვის საშუალებების მონტაჟს და მის სწორ ექსპლუატაციას თსუ დაცვის სამსახური დამოუკიდებლად ახერხებს.
- განსაკუთრებით აღსანიშნავია "KP"-ის სისტემის ცენტრალური სასიგნალიზაციო პულტის შეძენა და დამონტაჟება, რომლის მეშვეობითაც ხდება ერთიანი სასიგნალიზაციო მოწყობილობების მართვის კონტროლი. აღნიშნული მოწყობილობა შესაძებლობას იძლევა ერთიან კონტროლს დაექვემდებაროს თსუ-ს მასშტაბით სიგნალიზაციით დაცული ყველა ობიექტი, რაც თავის მხრივ მინიმუმამდე ამცირებს დანაშაულებრივი ხელყოფის შესაძლებლობას.
- ფიზიკური დაცვის რაციონალურად გამოყენების და ფინანსების დაზოგვის მიზნით შემუშავდა მიდგომა, რომლის თანახმადაც ტექნიკური დაცვის საშუალებებით იღჭურვება თსუ-ს ობიექტები და აღნიშნულ ობიექტებზე ფიზიკური დაცვა ან საერთოდ იხსნება ან მცირდება მისი რიცხოვნობა. აღნიშნული მიდგომის განხორციელება უკვე დაიწყო 2011 წელს, კერძოდ, სასიგნალიზაციო მოწყობილობებით აღიჭურვა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი და სრულად მოიხსნა ფიზიკური დაცვა.
2. უნივერსიტეტის IV სასწავლო კორპუსი, სადაც ტექნიკური დაცვის საშუალებების მეშვეობით შემცირდა ფიზიკური დაცვა.

- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის ოპერატიული რადიოკავშირის გაუმჯობესების მიზნით თსუ–ს საკუთრებაში არსებული საბაზო მიმღებ-გადამცემი განთავსდა მახათას მთაზე მდებარე რადიოტექნიკურ ანძაზე. აღნიშნულმა შესაძლებლობა მოგვცა გაუმჯობესებულიყო რადიოკავშირი და მთლიანად მოეცვა თბილისის მასშტაბი. აღნიშნული ღონისძიების შემდეგ დაცვის სამსახურის ხელის რადიოსადგურებთან დაკავშირება შესაძლებელია არა მხოლოდ თბილისის, არამედ რუსთავის, მცხეთის, ტაბახმელის და სხვა თბილისის გარეთ მდებარე ობიექტებიდანც კი. დაცვის სამსახურის რადიოკავშირის საშუალებებით აღჭურვის მიზნით შევიძინეთ 34 ერთეული ხელის რადიოსადგური, აგრეთვე 1 ცალი საბაზო რადიოსადგური. ხელის რადიოსადგურები განაწილდა თსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით ობიექტებზე.
- თსუ საუნივერსიტეტო ბიბილიოთეკის და ბიოლოგების კორპუსის უკან ბაგების საერთო საცხოვრებლისკენ გადასასვლელი ხიდის მიმდებარე ტერიტორია, ასევე აღნიშნული შენობების უკანა მხარე ღამის საათებში იყო სრულად ჩაბნელებული და ვერ კონტროლდებოდა. ეს იყო იმის საფუძველი რომ თსუ-ს ტერიტორიაზე უკონტროლოდ

შემოდიოდა უცხო მანქანები. განსაკუთრებით ღამის საათებში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ინციდენტებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულე მოქალაქეების მიმართ რამოდენიმეჯერ დაფიქსირდა დანაშაულებრივი ხელყოფის ფაქტი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, განათდა ბიოლოგების და მაღლივის ბიბლიოთეკის კორპუსის უკანა მხარე, ამასთან გაიხსნა ახალი საგუშაგო. გატარებულმა სამუშაოებმა მანამდე არსებული პრობლემები ან სრულად აღმოფხვრა ან მინიმუმამდე დაიყვანა. დაცვის საგუშაგოს გახსნამ პრევენციული მნიშვნელობა იქონია და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოქალაქეებზე დანაშაულებრივი ხელყოფის ფაქტები აღარ დაფიქსირებულა.

- თსუ-ს დაცვის თანამშრომლის გარეგნულ იერს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. დაცვის სამსახური უნდა გამოირჩეოდეს მოწესრიგებული ჩაცმულობით, რაც უნივერსიტეტის იმიჯის ნაწილს წარმოადგენს. 2011 წელს დაცვის სამსახურის ფორმით უზრუნველყოფის მიზნით შევიძინეთ 100 ცალი დაცვის ქურთუკი, რომლითაც შევმოსეთ არა მხოლოდ სასწავლო კორპუსებში დასაქმებული მცველები, არამედ შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაცვის თანამშრომლები.
- 2011 წლის 3 თებერვალს თსუ-ს მუზეუმში განთავსებული ზოოლოგიური ექსპონატების ქურდობის მცდელობის ფაქტზე დაცვის სამსახურმა დააკავა პირი, რომელიც გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს და რომელსაც სასამართლოს განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.
- თსუ–ს სასწავლო კორპუსების და შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების შიდა ეზოები მეტწილად იყო ჩაბნელებული, რაც ართულებდა უსაფრთხოების კუთხით აღნიშნული ობიექტების კონტროლს ღამის საათებში. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით 2011 წელს შესყიდული და დამონტაჟებული იქნა 38 ცალი გამანათებელი მოწყობილობა.
- 2011 წელს შეძენილი იქნა 25 ცალი სპეციალური ხელის ფანარი. აღნიშნული განაწილდა თსუ კორპუსებში, ღამის საათებში დაცვის თანამშრომლების მიერ პერიმეტრზე შემოვლების განხორციელების უზრუნველსაყოფად.
- 2011 წელს სახანძრო უსაფრთხოების კუთხით შეძენილი იქნა 188 ცალი ცეცხლმაქრობი და გადანაწილდა თსუ–ს სასწავლო კორპუსებში, აგრეთვე შემოერთებულ კვლევით ინსტიტუტებში, ხოლო მანამდე არსებული 163 ცალი ცეცხლმაქრობი დაიმუხტა შესაბამისი ნივთიერებით.
- თსუ დაცის და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სწავლება სახანძრო უსაფრთხოების საშუალებების სწორად და ეფექტურად გამოყენების მიმართულებით. უკეთესად გაკონტროლდა სხვენები და სახანძრო გასასვლელები.
- 2011 წელს შინაგან საქმეთა სამინისტორს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს სოფელ მუხათგვერდში მდებარე ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის დაცვას.
- 2011 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თსუ–ს სასწავლო კორპუსებში და შემოერთებულ კვლევით ინსტიტუტებში დამონტაჟდა საგანგაშო ღილაკები, რომლებიც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად იქნეს გამოძახებული დამხმარე ძალა დაცვის პოლიციის ოპერატიული ჯგუფის სახით.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №3, დანართი 5.

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) პერსონალის მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2.დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1. დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესის ორგანიზება, კოორდინაცია, კონტროლი.

2. დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) პერსონალის (ადამიანური რესურსის) მართვასთან და ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან კონსულტაციების საფუძველზე დასკვნების მომზადება და წარდგენა.

ბ) პერსონალის მართვის პრობლემების თანმიმდევრული გადაწყვეტისათვის აუცილებელი წინაპირობების შექმნა, თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომებისა და პრინციპების გაანალიზების საფუძველზე.

გ) პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურების ორგანიზებაში მონაწილეობა, უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, დამხმარე პერსონალზე მოთხოვნის განსაზღვრა.

დ) უნივერსიტეტში მოქმედი შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისების სისტემების გაანალიზება და შეფასება.

ზ) შრომითი ურთიერთობების მონაწილე მხარეების ინტერესებში გარკვევა, შესაძლო კონფლიქტების შესწავლა და შეფასება, მოლაპარაკებებისა და გარიგებების არსის შესწავლა.

თ) პერსონალის თანამედროვე საინფორმაციო და სააღრიცხვო სისტემების გაცნობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალის მართვის ერთიანი სისტემების დანერგვა და სრულყოფა.

3. დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ყველა კატეგორიის პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე) სამუშაოზე მიღების, გათავისუფლების, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, მატერიალური წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის და ა.შ. საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგება და წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;

ბ) პერსონალის პირადი საქმეების წარმოება, მოწესრიგება, შენახვა დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) შემოსული კორესპონდენციის განხილვა და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზაცია, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი.

ე) უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის შესახებ სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიწოდება დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად.

ვ) საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადება და წარდგენა დანიშნულების მიხედვით.

ზ) კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების გაწევა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა.

1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის საშტატო განრიგით განსაზღვრული სხვა თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი.

2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას.

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს.

დ) ახდენს დეპარტამენტში მომზადებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს ან ახორციელებს ვიზირებას.

ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

ვ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან კონსულტაციების საფუძველზე პერსონალის დანიშვნის, გადაყვანის, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე.

ზ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების რაოდენობის, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

თ) გამოითხოვს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისაგან დეპარტამენტის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციას.

ი) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში.

ბ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული მასალების (კორესპონდენცია) განაწილებაში.

გ) მონაწილეობს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში.

დ) გამოითხოვს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისაგან დეპარტამენტის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციას.

ე) დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის, ასევე დეპარტამენტის უფროსის დავალებით ახორციელებს დეპარტამენტში მომზადებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას.

ვ) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის უშუალო დავალებებს.

5. დეპარტამენტის სხვა პერსონალი (მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი):

ა) მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგების, პერსონალის პირადი საქმეების, სახელფასო სისტემების, პერსონალთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლასა და დამუშავებაში.

ბ) უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის პერსონალის ვაკანსიაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მივლინების, შვებულების, გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებას, შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას და წარდგენას ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;

გ) განიხილავს შემოსულ კორესპონდენციას, ამზადებს შესაბამის პასუხებს, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტებს.

დ) მონაწილეობს დამხმარე პერსონალის შერჩევის, ატესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების პროცედურებში.

ე) სწავლობს შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეების ინტერესებს, ახდენს შესაძლო კონფლიქტების შესწავლას და შეფასებას.

ვ) აწარმოებს საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადებას და წარდგენას დანიშნულების მიხედვით;

ზ) ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისების სისტემების გაანალიზება-შეფასებას;

თ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებების მოთხოვნის საფუძველზე, აკონტროლებს ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისობას პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან.

ი) უზრუნველყოფს სააღრიცხვო პროგრამაში პერსონალის სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის შრომის ანაზღაურების შესახებ მონაცემების შეტანასა და კონტროლს.

კ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის შესრულებას: აკონტროლებს და აზუსტებს დაზღვეული პერსონალის რაოდენობას და შემადგენლობას, კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის პერსონალს დაზღვევის დამატებით პირობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას თსუ ვებ-გვერდზე.

ლ) ამზადებს უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის შესახებ სტატისტიკურ ანგარიშებს დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;

მ) მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში, ახდენს ადამიანური რესურსების ნაწილში ყველა საჭირო მასალის სისტემატიზაციას, ანალიზს და აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ნ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს უნივერსიტეტში შექმნილი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალის მომსახურებას – შემოსულ შეკითხვებზე, წინადადებებზე, განცხადებებზე პასუხის გაცემისა და კონსულტაციის გაწევის სახით;

პ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისათვის თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის დამადასტურებელი ცნობების მომზადებას და გაცემას.

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №19/2012
13 მარტი, 2012

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის ,,ჩ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. ეთხოვოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის მოქმედი დებულების გაუქმება წინამდებარე დადგენილების დანართი №1-ით გათვალისწინებული დებულების ძალაში შესვლის დღიდან.
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტი (შემდგომ ტექსტში - ,,ინსტიტუტი“) წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ ტექსტში - ,,უნივერსიტეტი“) სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს თავისი ბლანკი და საბანკო ქვეანგარიში.
4. ინსტიტუტი განთავსებულია ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №3-ში არსებულ უნივერსიტეტის №11 კორპუსში.

მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის საგანი და ინსტიტუტის მიზნები

1. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი საგანია:

ა) ახალი ბიოსამედიცინო დანიშნულების პოლიმერების სინთეზი, მათ საფუძველზე ქირურგიული და ფარმაკოლოგიური მასალების/პრეპარატების შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა;

ბ) საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მომსახურება კომერციულ საწყისებზე.

2. ინსტიტუტის მიზნებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები ბიოსამედიცინო პოლიმერების/მასალების დარგში, რომლებიც შექმნიან და განავითარებენ საქართველოში ქირურგიული და ფარმაკოლოგიური პოლიმერული მასალების/პრეპარატების წარმოების ახალ დარგს;

ბ) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, უნივერსიტეტის სხვა დარგების სპეციალისტების (მორფოლოგები, ციტოლოგები, ექიმები და სხვა) მონაწილეობით კომპლექსური საუნივერსიტეტო კვლევითი პროგრამების შემუშავება და ამ კომპლექსური კვლევის შედეგად მიღებული ახალი ბიოსამედიცინო მასალების დანერგვა.

გ) მცირე (საპილოტე) საწარმოო ბაზის შექმნა;

დ) სტუდენტების პრაქტიკისათვის ხელშეწყობა;

ე) საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ურთიერთობების დამყარება, ერთობლივი პროექტების შუმუშავება და სამეცნიერო გრანტების მოზიდვა, საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების საქმიანობაში უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ვ) საქართველოსა და უცხოეთის ქიმიურ, ფარმაცევტულ და ბიოტექნოლოგიურ კომპანიებთან კავშირის დამყარება.

მუხლი 3. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება მმართველი რგოლის (დირექტორი, დირექტორის მოადგილე) და სხვა პესონალისაგან;

2. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები და თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით;

3. ინსტიტუტის დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ ინსტიტუტის წარდგინების საფუძველზე;

4. ინსტიტუტის დირექტორი თანამდებობიდან თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ ინსტიტუტის წარდგინებით ან საკუთარი მოტივირებული გადაწყვეტილებით;

5. ინსტიტუტის სხვა პერსონალის სამსახურში მიღება და გათავისუფლება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ინსტიტუტის დირექტორის დასაბუთებული წარდგინებით.

მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

1. ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხები განიხილება ინსტიტუტის სრული შემადგენლობის მიერ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს დირექტორი.

3. ინსტიტუტის მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად, ინსტიტუტის ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას სტრუქტურული ერთეულები (ლაბორატორიები, განყოფილებები, წარმოება და სხვა), რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 5. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში კვლევების ეფექტიან წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის განვითარების გრძელვადიან (3 წლიან) და ყოველწლიურ სამუშაო გეგმებსა და წინადადებებს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შესახებ;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და მმართველი სუბიექტების გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

დ) ამ დებულების შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის შემოსავლების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ე) ხელმძღვანელობს ყოველწლიური სამეცნიერო და გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის შედგენას;

ვ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს.

ზ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას.

თ) უფლებამოსილია კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული წესით დასვას ინსტიტუტის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი;

ი) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ინსტიტუტის თანამშრომელთა კანდიდატურებს მათი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების მიზნით;

კ) მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში

წარმოადგენს უნივერსიტეტს, ინსტიტუტის მიზნებისათის განსაზღვრული საკითხების გადასაჭრელად, მესამე პირებთან ურთიერთობაში და დებს გარიგებებს;

ლ) ახორციელებს ამ დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ინსტიტუტის დირექტორის დროებით არყოფნის, ან მის მიერ თავის უფლებამოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობებს ასრულებს დირექტორის მოადგილე.

3. დირექტორს უფლებამოსილებები ვადამდე უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის ძალაში შესვლის შემთხვევაში;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობის შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 6. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ გადაცემული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (უძრავ-მოძრავი ქონება).

2. ინსტიტუტის ამოცანების სრულყოფილად განხორციელების მიზნით შესაძლებელია განსახორციელებელი საქმიანობისათვის აუცილებელი დამატებითი ტექნიკური მოწყობილობების უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობაში დროებით მიღება ინსტიტუტისათვის გადასაცემად.

3. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) გრანტით მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

4. ინსტიტუტის მიერ მოზიდული გრანტებისა და კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი ინსტიტუტის მიერ განხორციელებადი საქმიანობის ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველსაყოფად რჩება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე, რასაც წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. ინსტიტუტის მიერ კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლების 50% ხმარდება ინსტიტუტის განვითარებას.

მუხლი 7. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხს განიხილავს და წყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 8. დებულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა

1. დებულებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების საკითხი, რომლებიც არ შეეხება ინსტიტუტის სამართლებრივ სტატუსს, განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დებულებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების საკითხი, რომლებიც შეეხება ინსტიტუტის სამართლებრივ სტატუსს, განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება უპირველეს

ყოვლისა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, ხოლო შემდგომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დებულების ძალაში შესვლის წესი

წინამდებარე დებულება ძალას იძენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი ძალაში შესვლის დღიდან.